



სოციოლოგიური თეორიების ისტორიული მიმოხილვა:

ადრინდელი წლები (ჯორჯ რიტცერი)

1. სოციოლოგიის როგორც მეცნიერების წარმოშობის სოციალური წანამძღვრები.
2. ინტელექტუალური ძალების გავლენა სოციოლოგიური თეორიების განვითარებაზე.
3. ოგიუსტ კონტი და პოზიტივისტური სოციოლოგიის ჩასახვა.
4. ჰერბერტ სპენსერი – ფუნქციონალისტური სოციოლოგიის წარმოშობა.
5. თანამედროვე სოციოლოგია და კლასიკოსები.
6. პოლიტიკური რევოლუციები XVIII-ე და XIX-ე საუკუნეებში
7. სამრეწველო რევოლუციები და კაპიტალიზმის აღმასვლა.
8. სოციალიზმი და სოციალური თეორიები.
9. ფემინიზმი და სოციოლოგიური თეორია.
10. ურბანიზაცია და სოციოლოგიური თეორია.
11. ცვლილებები რელიგიაში და სოციოლოგიური თეორია.
12. მეცნიერების როლის ზრდა და სოციოლოგიური თეორია.

ჩვენი აზრით, წიგნი, რომელიც გვამცნობს სოციოლოგიის თანამედროვე თეორიებს უპრიანია დავიწყოთ სხვადასხვა თეორიების მოკლე – ერთბწვარიანი შემაჯამებელი დებულებების გადმოცემით.

- რაციონალური სისტემებისათვის თანამედროვე სამყარო წარმოადგენს რვინის გალიას, საიდანაც შეუძლებელია თავის დაღწევა.
- კაპიტალიზმში ჩადებულია თვითლიკვიდაციის ტენდენცია.
- მორალი თანამედროვე საზოგადოებაში უფრო ნაკლებს ნიშნავს ვიდრე წინა საზოგადოებებში.
- ქალაქი ხელს უწყობს პიროვნების გარკვეული ტიპის ჩამოყალიბებას.
- ადამიანებს აქვთ საზოგადოებაში სხვადასხვა როლის შესრულებისადმი მიღრეკილება.
- საზოგადოებაში ურთიერთობები აიგება ურთიერთდამოკიდებულების პრინციპზე.
- ადამიანები ქმნიან სამყაროს, რომელიც, საბოლოო ჯამში, მათვე დაიმონებს.
- ადამიანებს ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა შეცვალონ სამყაროს მათი შემზღვეველი წესრიგი.
- საზოგადოება არის სოციალური სტრუქტურებისა და ფუნქციების ინტეგრირებული სისტემა.
- საზოგადოება – ეს არის დამანგრეველი ძალა, ყოველთვის რომ არის მზად გაშმაგებისა და უგონობისათვის.
- მიუხედავად იმ შეხედულებისა, რომ დასავლეთმა გაიარა ლიბერალიზაციის პროცესი,
- სინამდვილეში ატმოსფერო აქ სულ უფრო დამთრგუნველია.
- თანამედროვე საზოგადოება შევიდა პოსტმოდერნისტულ ერაში, რომელსაც ახასიათებს აუტენტურობის დეფიციტი, სიყალბე, რეალობის სიმულაცია.

ამ წიგნის დანიშნულებაა დაეხმაროს მკითხველს უკეთ გაერკვეს ამ იდეებში, ასევე იმ თეორიებში საიდანაც ისინი არიან ამოკრეფილი.



შესავალი.

სოციოლოგიური თეორიების ისტორიის გადმოცემა მნიშვნელოვანი ამოცანაა, მაგრამ, რამდენადაც ჩვენ მას ვუთმობთ მხოლოდ ორ თავს (1,2) ამიტომ მკითხველს ვთავაზობთ მხოლოდ შერჩევით ისტორიულ მიმოხილვას. მიზანია - მკითხველმა ზოგადად წარმოიდგინოს ის თეორიები და იმ მოაზროვნეთა შეხედულებები, რომელთა შემოქმედებას ქვემოთ გავეცნობით. წიგნის ბოლო თავებში მკითხველი შეამჩნევს, რომ უკეთესი იქნება თუ დაუბრუნდება პირველ ორ მიმოხილვით თავს და განიხილავს მათ ბოლო თავებში განხილული საკითხების კონტექსტში. (განსაკუთრებით რეკომენდებულია 1.1 და 2.1 ნახაზებისადმი დაბრუნება, რომლებშიც ზემოთხსენებულ ნაწილების (თავების) შინაარსი სქემატურად არის მოცეული).

ამ წიგნში განხილული თეორიები ფართოდ გამოიყენება; ისინი ეხებიან საკვანძო მნიშვნელობის სოციალურ პრობლემებს და მათ გაუძლეს დროის გამოცდას. ეს კრიტერიუმები განსაზღვრავენ სოციოლოგიურ თეორიებს. ყურადღება ფოკუსირებულია სოციოლოგების მნიშვნელოვან თეორიულ შრომებზე, ან მათ მიერ სხვა სფეროში გაკეთებულ მნიშვნელოვან გამოკვლევებზე, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანი გახდნენ სოციოლოგიაშიც. მოკლედ, ეს წიგნი ეხება „დიდ იდეებს“ სოციოლოგიაში,

რომლებმაც გაუძლეს დროის გამოცდას (ან იძლევიან ამის იმედს) და ძირითად სოციალურ პრობლემებზე შეხედულებათა სისტემებს.

მოყვანილი განსაზღვრება მოცემულია იმ ფორმალურ-მეცნიერულ განსაზღვრებებთან კონტრასტისა და განსხვავების ხაზგასმით, რომლებიც ხშირად გამოიყენებიან ასეთი გვარის თეორიულ ტექსტებში. ერთ-ერთი მეცნიერული განსაზღვრება შეიძლება ყოფილიყო შემდეგი სახის: თეორია - ეს არის ურთიერთდაკავშირებულ მტკიცებათა რიგი, რომელსაც სისტემაში მოყვავს ცოდნა, ახსნის და იწიმასწარმეტყველებს სოციალურ მოვლენებს და კვლევითი ჰიპოთეზების ახალ თაობებს. თუმცა მოყვანილი განსაზღვრება სავსებით მისაღებია, ის არ შეესაბამება მოცემულ წიგნში განხილულ მრავალ თეორიას. სხვა სიტყვებით, მრავალი კლასიკური და თანამედროვე თეორიები არ ექცევიან მოყვანილი განსაზღვრების ჩარჩოებში, მათ აკლიათ თეორიის ცნების ერთი ან რამოდენიმე ფორმალური კომპონენტი, თუმცა სოციოლოგთა უმრავლესობის მიერ ისინი თეორიებად განიხილებიან.

ძნელია სოციოლოგიური თეორიის ჩასახვის ზუსტი თარიღის დადგენა. უხსოვარი დროიდან ადამიანები აანალიზებდნენ და აგებდნენ თეორიებს სოციალური ცხოვრების შესახებ. ჩვენ არ ჩავღრმავდებით ბერძნებისა და რომაელების ეპოქებში, არც შუასაუკუნეებში. ჩვენ არ მივალთ არც XVII საუკუნემდე, თუმცა ოლსონი ჩაყვა სოციოლოგიური ტრადიციების კვლევას 1600-იანის შუაწლებამდე და მიადგა ჯეიმს ჰარინგტონის ნაშრომებს ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთობების შესახებ. ეს აიხსნება არა იმ ეპოქების ადამიანების სოციოლოგიასთან დაკავშირებული იდეების დეფიციტით, არამედ იმით, რომ ეს ჩვენს გამოკვლევას არ შესძენდა დამატებით მნიშვნელობას. ბევრი დრო დაგვეხარჯებოდა რამოდენიმე იდეის გამო, რომელთაც, მით უმეტეს, გამოძახილი ჰპოვეს თანამედროვე სოციოლოგიაში. ყოველ შემთხვევაში, არცერთი იმ ეპოქების მოაზროვნები არ მიაკუთვნებდნენ საკუთარ თავს სოციოლოგიას. ძალიან ცოტა მათგანს აბრალებენ დღეს სოციოლოგობას. (ერთი გამონაკლისის განსახილველად იხილეთ იბნ_ჰალდუნის ბიოგრაფიული გამოკვლევა). მხოლოდ 1800- იან წლებში გამოჩნდნენ მოაზროვნები, რომელთაც დანამდვილებით შეიძლება დაერქვათ სოციოლოგები. ესაა ჩვენთვის საინტერესო



სოციოლოგიური აზრის კლასიკოსები, და ჩვენც ვიწყებთ მთავარი სოციალური და ინტელექტუალური ძალების შესწავლით, რომლებმაც ჩამოაყალიბეს მათი იდეები.

სოციალური ძალები, რომელთაც გავლენა იქონიეს სოციოლოგიური თეორიების განვითარებაზე.

ნებისმიერი ინტელექტუალური სფერო ყალიბდება სოციალური გარემოს გავლენით. ეს განსაკუთრებით სწორია სოციოლოგიის მიმართ, რომელიც არა მხოლოდ იშვა სოციალური გარემოდან, არამედ ირჩევს ამ სოციალურ გარემოს თავისი კვლევის ძირითად ობიექტად. ჩვენ მოკლედ შევჩერდებით XIXს. და XXს. დასაწყისის განსაკუთრებით მნიშვნელოვან სოციალურ ასპექტებზე, რომელთაც ქონდათ უდიდესი მნიშვნელობა სოციოლოგიის განვითარებისათვის.

პოლიტიკური რევოლუციები.

პოლიტიკური რევოლუციების რიგი, დაწყებული 1789 წ.საფრანგეთის რევოლუციით და გაგრძელებული მთელი XIX ს. და შემდეგაც, სოციოლოგიური თეორეტიკოსების განვითარების ძირითად ფაქტორად გადაიქცა. ამ რევოლუციების გავლენა საზოგადოებებზე ძალზე ძლიერია, რადგან შედეგად მოყვა რიგი ცვლილებები, მათ შორის პოზიტიური. მაგრამ თეორეტიკოსების უურადღებას ნაკლებად იპყრობდა პოზიტიური შედეგები, უფრო აინტერესებდათ ცვლილებების ნეგატიური

ასპექტები. განსაკუთრებით საფრანგეთში, რევოლუციის მიერ გამოწვეული უწესრიგობითა და ქაოსით ყველაზე მეტად გაოგნებული იყვნენ მწერლები. ისინი ერთიანდებიან - საზოგადოებაში წესრიგის აღდეგნის სურვილით. ზოგიერთი მათგანს, განსაკუთრებით უკიდურესი შეხედულებების მქონე პიროვნებებს ენატრებოდათ შუასაუკუნეების მშვიდობიანი და შედარებით მოწესრიგებული დღეები და ფაქტობრივად მოითხოვდნენ კიდევ უკან დაბრუნებას. მოწინავე მოაზროვნები აღიარებდნენ, რომ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები შეუძლებელს ხდის წარსულისაკენ ასეთ დაბრუნებას. შესაბამისად ისინი ცდილობდნენ მოეძიებინათ საზოგადოებებში სტაბილურობის ახალი საფუძვლები, რომლებიც რევოლუციებმა შეაწჯდრიეს. სოციალური წესრიგის საკითხისადმი ეს ინტერესი გახდა სოციოლოგიის კლასიკური თეორეტიკოსების, განსაკუთრებით ო.კონტისა და ე. დიურკემის მთავარი საზრუნავი.

სამრეწველო რევოლუციები და კაპიტალიზმის აღმასვლა.

სამრეწველო რევოლუციებმა, რომლებმაც XIXს. და XXს. დასაწყისში მოიცვა დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობა, პოლიტიკური რევოლუციების ანალოგიური მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სოციოლოგიური თეორიების ჩამოყალიბებაზე. სამრეწველო გადატრიალება არ იყო ერთჯერადი მოვლენა, ეს იყო ურთიერთდაკავშირებული გარდაქმნების მთელი რიგი, რომლის კულმინაციას შეადგენს დასავლეთის სამყაროს გადასვლა აგრარული მეურნეობიდან უპირატესად ინდუსტრიულ სისტემაზე. ადამიანების დიდმა რაოდენობამ ფაბრიკა-ქარხნებში (რომელთა რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა) მუშაობა ირჩია და მიატოვა ფერმები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. თვით ფაბრიკებში გამუდმებით მიმდინარეობდა ტექნოლოგიური სრულყოფის მთელი სერიები. აღმოცენებული კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემისა და მრეწველობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გაჩნდა ეკონომიკური ბიუროკრატიის ახალი კლასი. ასეთი სისტემის იდეალია - თავისუფალი ბაზარი, სადაც შესაძლებელია დიდი რაოდენობის სამრეწველო საქონლის ურთიერთგაცვლა. ასეთ სისტემაში



ცოტა ვინმეს თუ ქონდა განსაკუთრებით დიდი შემოსავალი, უმრავლესობა ჯერდებოდა დაბალ ხელფასს. წარმოების სისტემამ და კაპიტალიზმზე რეაქციამ შვა მუშათა მოძრაობები, და ასევე მრავალი რადიკალური მოძრაობები, რომლებიც უკვე ფიქრობდნენ კაპიტალიზმის დამხობაზე.

სამრეწველო გადატრიალებამ, კაპიტალიზმმა და მათ წინააღმდეგ რეაქციამ დასავლეთის საზოგადოების წყობაში გამოიწვია კოლოსალური გადატრიალება, რომელმაც სერიოზული გავლენა იქონია სოციოლოგიაზე. სოციოლოგიური თეორიის განვითარების გარიჟრაჟზე ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ კარლ მარქსი, მაქს ვებერი, ემილ დურკჰემი და გეორგ ზიმელი, და ასევე ნაკლებად მნიშვნელოვანი ფიგურები, აქტიურად სწავლობდნენ ცვლილებების მონაცემებს, ასევე ამ ცვლილებების მიერ საზოგადოებაში გამოწვეულ პრობლემებს. ეს მოაზროვნები მთელი ცხოვრების მანძილზე დაკავებულნი იყვნენ სოციალური პრობლემებით და ბევრ შემთხვევაში ცდილობდნენ შეემუშავებინათ მათი გადაჭრის პროგრამები.

სოციალიზმის აღმასვლა.

ცვლილებები, რომლებიც მიმართული იყო სამრეწველო სისტემისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, შეიძლება გაერთიანდეს „სოციალიზმის აღმასვლის“ სათაურით. თუმცა ზოგიერთი სოციოლოგები ქება-დიდებას ასხამდნენ სოციალიზმს, როგორც ინდუსტრიული პრობლემების გადაჭრის საშუალებას, უმრავლესობა მაინც ეწინააღმდეგებოდა მას, როგორც წმინდა ადამიანური, ასევე მეცნიერული

თვალსაზრისით. ერთი მხრივ, კარლ მარქსი აქტიურად გამოდის კაპიტალისტური სისტემის დამხობისა და მისი სოციალიზმით შეცვლის იდეით. მას არ განუვითარებია სოციალიზმის თეორია, მაგრამ დიდი ენერგია დახარჯა კაპიტალისტური სისტემის მრავალი ასპექტის კრიტიკისას. ამავე დროს ის ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას, როგორსაც, როგორც მას იმედი ქონდა, შეეძლო მიეყვანა სოციალისტური საზოგადოების წარმოშობამდე.

მაგრამ მარქსი თეორიის განვითარების ადრინდელ წლებში არ იყო ტიპიური თეორეტიკოს- სოციოლოგი. ადრინდელი სოციოლოგების უმრავლესობა, როგორებიცაა მ.ვებერი, ე.დიურკემი სოციალიზმის მოწინააღმდეგენი იყვნენ (ყოველ შემთხვევაში იმ სახით, როგორც მას მარქსი სახავდა). აღიარებდნენ რა კაპიტალისტური სისტემის შიგნით პრობლემების არსებობას, ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ სოციალურ რეფორმებს და არა რევოლუციას, რომლისკენაც კ.მარქსი მოუწოდებდა. მათ სოციალიზმის უფრო ეშინოდათ, ვიდრე კაპიტალიზმისა. ამ შიშმა მეტი გავლენა იქონია სოციოლოგიის თეორიის განვითარებაზე, ვიდრე მარქსის ძალისხმევამ, მიმართულმა კაპიტალიზმის სოციალისტურ ალტერნატივაზე. ფაქტობრივად შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციოლოგიური თეორია ჩამოყალიბდა, როგორც მარქსიზმის საწინააღმდეგო რეაქცია, უფრო ზოგადად კი, როგორც სოციალისტური თეორიის საწინააღმდეგო რეაქცია.

ფემინიზმი.

გარკვეული აზრით ფემინიზმის ჩასახვის პერსპექტივა ყოველთვის არსებობდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო და როგორი დაჩაგრულიც, ქალები ამა თუ იმ ფორმით ყოველთვის გამოხატავდნენ პროტესტს არსებული რეალობის წინააღმდეგ. ფემინისტური მოძრაობის ჩანასახები შეიძლება ვიპოვოთ უკვე XVIIIს-ის 30-იან წლებში. ქალური აქტივობის ზრდა და შესაბამისი ლიტერატურის გამოჩენა შეიმჩნეოდა



თანამედროვე დასავლეთის ისტორიის იმ მომენტებში, როდესაც ადგილი ქონდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფისათვის ბრძოლას. ფემინისტური აქტივობის პირველი გაელვებები დაიწყო XVIII ს-ის 80-იან, 90-იან წლებში, იმ დებატების პარალელურად, რომელიც თან სდევდა ამერიკულ და ფრანგულ რევოლუციებს; ბევრად უფრო ორგანიზებული მოძრაობა შეიმჩნეოდა XIX ს-ის 50-იან წლებში, რომელიც იქცა მონობის მოწინაღმდეგეთა გაერთიანების ეპოქად და საშუალო კლასის პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლის ეპოქად: ეს იყო თავისებური, მასობრივი მობილიზაცია ქალებისათვის საყოველთაო საარჩევნო უფლებების მოსაპოვებლად და XXI ს-ის დასაწყისში სამოქალაქო და სამრეწველო კანონმდებლობის შესაცვლელად, განსაკუთრებით აშშ ე.წ. „პროგრესულ ერაში”.

ყოველივე ამან გავლენა იქონია სოციოლოგიის განვითარებაზე, განსაკუთრებით მეცნიერი ქალების შრომებზე ამ და მომიჯნავე სფეროებში: ჰარიეტ მარტინი, შარლოტ პერკინს გილმანი, ჯეინ ადამსი, ფლორენს კელი, ანა ჯულია კუპერი, იდა უელს-ბარნეტი, მარიანა ვებერი და ბეტრის პოტერ ვები, ეს თუ მხოლოდ ზოგიერთებს ვახსენებთ. მაგრამ მათი ნაშრომები დროთა სვლაში გადაწეულ იქნა მეცნიერების პერიფერიებზე, გახდნენ სხვა თეორიების შემადგენელი ფრაგმენტები, შეიძლება დავიწყებულიც ან სულაც იგნორირებულნი, ამოღებულ იქნენ სოციოლოგიაში პუბლიკაციების სიებიდან იმ მამაკაცების მიერ, რომლებიც იდგნენ სოციოლოგიის, როგორც პოლიტიკური მხარდაჭერის ინსტრუმენტის ჩამოყალიბების სათავეებთან. ფემინიზმი დარჩა სოციოლოგიის პერიფერიაზე რადიკალურ მამაკაც_თეორეტიკოსების შრომებში და უფრო ექსტრემალურ ქალ თეორეტიკოსებთან. ის ვისაც ცენტრალური ადგილი ეკავა სოციოლოგიის თეორიაში, დაწყებული სპენსერიდან, ვებერიდან და დიურკემიდან და შემდეგაც, ძირითადად კონსერვატულად რეაგირებდნენ აგორებულ ფემინისტურ დისკუსიებზე, სქესის საკითხებს უდგებოდნენ, როგორც არარსებულს ცოდნის იმ სფეროსათვის, რომელსაც ისინი საჯაროდ სოციოლოგიად მოიხსენიებენ. მხოლოდ ახლა გენდერულმა პოლიტიკამ (პოლიტიკა სქესის სფეროში), რომლის განვითარების ისტორია გვაძლევს წარმოდგენას იმის შესახებ თუ როგორ იცვლებოდა მამაკაცების რეაქცია ფემინისტების მოთხოვნებზე, მიიღო აღიარება სოციოლოგიაში.

ურბანიზაცია.

სამრეწველო გადატრიალების შემდეგ XIX ს. და XX ს. ბევრი ადამიანი წყვეტს კავშირს სოფელთან და ქალაქებში გადასახლდა. ეს მასობრივი მიგრაცია მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია სამრეწველო ქალაქების რაიონებში სამუშაო ადგილების შექმნით. მაგრამ ქალაქურ ცხოვრებასთან შეგუებამ ბევრი სიმნელე წარმოშვა.

ამავე დროს ქალაქების სწრაფმა ზრდამ უამრავი პრობლემა გააჩინა: ჭარბმოსახლეობა, დაბინძურება, ხმაური და ა.შ. ქალაქური ცხოვრების არსმა და მისმა პრობლემებმა ადრინდელი სოციოლოგების ყურადღება მიიქცია, განსაკუთრებით მაქს ვებერისა და გეორგ ზიმელის. ფაქტობრივად ამერიკული სოციოლოგიის პირველი სკოლა – ჩიკაგოს სკოლა – მეტწილად ცნობილი გახდა ქალაქური ცხოვრებისადმი ინტერესით და ურბანიზაციისა და მისი თანმდევი პრობლემების შესასწავლად ჩიკაგოს, მთელი ქალაქის ლაბორატორიად გამოყენებით.



ცვლილებები რელიგიაში.

პოლიტიკური რევოლუციებით, სამრეწველო გადატრიალებებითა და ურბანიზაციით გამოწვეულმა სოციალურმა ცვლილებებმა ღრმა გავლენა იქონიეს მოსახლეობის რელიგიურობაზე. ბევრი ადრინდელი სოციოლოგები რელიგიურები იყვნენ და ზოგიერთები აქტიურად და პროფესიულადაც კი იყო ჩართული რელიგიაში. მათ სოციოლოგიაში შეიტანეს იგივე მიზნები, რაც რელიგიურ ცხოვრებაში აწუხებდათ. მათ უნდოდათ გაეუმჯობესებინათ ადამიანთა ცხოვრება. ზოგიერთისათვის, მაგალითად ოკონტისათვის, სოციოლოგია გადაიქცა რელიგიად. სხვების სოციოლოგიურ თეორიებზე ადვილად შეიმჩნეოდა რელიგიის ბეჭედი. დიურკემმა ერთ-ერთი მთავარი ნაშრომი რელიგიის თემაზე გააკეთა. ვებერის შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი რელიგიურ სამყაროს ეხება. მარქსიც დაინტერესებულია რელიგიის პრობლემებით, უფრო კრიტიკული თვალსაზრისით.

მეცნიერების ზრდა.

მაშინ როდესაც ვითარდებოდა სოციოლოგია, იზრდებოდა მეცნიერების როლი არა მხოლოდ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, არამედ მთლიანად საზოგადოებაშიც. მეცნიერულ_ტექნიკური შრომის პროდუქციამ შეაღწია ცხოვრების ყველა სფეროში. ამასთან დაკავშიერით გაიზარდა მეცნიერების პრესტიჟი. ისინი ვინც დაკავშირებული იყვნენ მეცნიერების წარმატებულ განხრებთან (ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია) დიდი პატივით სარგებლობდა საზოგადოებაში. სოციოლოგები, (განსაკუთრებით კონტი და დიურკემი) დაინტერესებული იყვნენ მეცნიერებებით და სოციოლოგიის მოდელირება უნდოდათ ფიზიკისა და ქიმიის ანალოგით. მალე დაიწყო დებატები იმათ შორის ვინც, ერთი მხრივ, მთლიანად და სრულად იღებდა მეცნიერულ მოდელს და მეორე მხრივ იმათ შორის, ვინც, მაგალითად, ვებერი, მიიჩნევდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განმასხვავებელი მახასიათებლები არ იძლევიან მეცნიერული მოდელისადმი ბრმად მიბაძვის საშუალებას. სოციოლოგიასა და ზუსტ

მეცნიერებებს შორის ურთიერთობის საკითხი დღესაც განხილვის ობიექტია, თუმცა წამყვანი ჟურნალების ზედაპირული დათვალიერებაც კი უთითებს იმათ უპირატესობაზე ვინც სოციოლოგიას აკადემიურ მეცნიერებად თვლის.

ინტელექტუალური ძალები და სოციოლოგიური თეორიების განვითარება.

თუმცა სოციალური ფაქტორები ძალზე მნიშვნელოვანია, წიგნის ამ ნაწილში ყურადღების ცენტრშია ის ინტელექტუალური ძალები, რომლებიც ცენტრალურ როლს თამაშობენ სოციოლოგიური თეორიის ჩამოყალიბებაში. რეალურ სამყაროში, რა თქმა უნდა, ინტელექტუალური ძალები განუყოფელია სოციალური ძალებისაგან. მაგალითად, განმანათლებლობის შესახებ დისკუსიაში, რომელზეც მოგვიანებითაა საუბარი, ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ საბოლოო ჯამში ამ მოძრაობამ უზრუნველყო განსხვავებული სოციოლოგიური თეორიების ინტელექტუალური საფუძვლები.

ინტელექტუალური ძალები, რომლებმაც განაპირობეს სოციოლოგიური თეორიების განვითარება განიხილებიან იმ ნაციონალურ კონტექსტში, სადაც მეტად იგრძნობა მათი გავლენა. ჩვენ ვიწყებთ განმანათლებლობიდან და მისი გავლენით სოციოლოგიური თეორიის განვითარებაზე საფრანგეთში.



განმანათლებლობა.

მკვლევართა ჯგუფის თვალსაზრისით განმანათლებლობის ეპოქა – ეს არის გარდატეხის ეტაპი სოციოლოგიის განვითარებაში. განმანათლებლობა იყო მნიშვნელოვანი ინტელექტუალური ზრდისა და ფილოსოფიური აზრის ცვლილებების პერიოდი (ეს ნაწილი ეფუძნება ირვინგ ცეიტლინის შრომებს. ცეიტლინი აქ შევარჩიეთ მისი თანმიმდევრობისა და სიცხადის გამო, თუმცა მას აქვს გარკვეული ნაკლოვანებები. არსებობენ უფრო წარმატებული ანალიტიკური შრომები განმანათლებლობის შესახებ, მრავალი სხვა ფაქტორი იღებს მონაწილეობას სოციოლოგიის ჩამოყალიბებაში, ხოლო ცეიტლინს ახასიათებს ზოგიერთი ფაქტების გაზვიადება (მაგალითად, მარქსის გავლენისა). მაგრამ მთლიანობაში, თუ მხედველობაში მივიღებთ წიგნის ამ თავის მიზნებს, ცეიტლინი მოსახერხებელი საწყისი წერტილია.)

განმანათლებლობის დროს დიდი რაოდენობის უძველესი იდეები და შეხედულებები, რომელთა შორის ბევრი ეხებოდა სოციალურ ცხოვრებას უარყოფილი იქნა და შეიცვალა ახლით. განმანათლებლობასთან ასოცირდებიან გამოჩენილი მოაზროვნები, როგორებიცაა ფრანგი ფილოსოფოსები შარლ მონტესკიე (1689 - 1755) და ჟან - ჟაკ რუსო (1712 - 1778). მაგრამ განმანათლებლობის გავლენა სოციოლოგიურ თეორიაზე იყო უფრო ნეგატიური და ირიბი, ვიდრე პირდაპირი და პოზიტიური. როგორც ირვინგ ცეიტლინი ამტკიცებს: „ადრინდელი სოციოლოგია ვითარდებოდა, როგორც განმანათლებლობის იდეებისადმი დაპირისპირება“.

განმანათლებლობის ეპოქის ფილოსოფოსებზე, გარდა ყველაფრისა, გავლენა იქონია ორმა ინტელექტუალურმა მიმდინარეობამ: XVIIს. ფილოსოფიამ და მეცნიერებამ.

XVIIს. ფილოსოფია ასოცირებულია ისეთი მოაზროვნების შრომებთან, როგორებიცაა რენე დეკარტი, თომას კობსი და ჯონ ლოკი. ძირითადი მნიშვნელობა ენიჭებოდა რაციონალური იდეების შემცველ ზოგადი ხასიათის ძალზე აბსტრაქტულ და გრანდიოზულ სისტემებს. ეს მოაზროვნები თვლიდნენ, რომ იდეათა სისტემა უნდა იყოს ზოგადი და პასუხობდეს საღი აზრის პრინციპებს. ისინი დიდი ძალისხმევით ცდილობდნენ, რომ თავიანთი იდეები გამოეყვანათ რეალური ცხოვრებიდან და მასშივე

მოეხდინათ მათი აპრობირება. სხვა სიტყვებით, მათ სურდათ ემპირიული გამოკვლევების შეერთება რაციონალურ აზროვნებასთან. ამის მოდელი იყო მეცნიერება, განსაკუთრებით ნიუტონის ფიზიკა. ამ მომენტიდან ჩვენ ვხედავთ თუ როგორ იწყება მეცნიერული მეთოდების გამოყენება სოციალურ გამოკვლევებში. განმანათლებლობის მოაზროვნები ცდილობდნენ თავიანთი იდეები, თუნდაც ნაწილობრივ, აეღოთ რეალური სამყაროდან, ისინი ასევე მიისწრაფვოდნენ რომ ეს იდეები ჩაეყენებინათ სოციალური სამყაროს სამსახურში და დახმარებოდნენ მის კრიტიკულ ანალიზში.

გარდა ამისა, განმანათლებლობას ახასიათებს რწმენა, რომ ადამიანებს ძალუმთ სამყაროს გაგება და მისი ემპირიული გამოკვლევებითა და გონებით მართვა. იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ რადგან ფიზიკურ სამყაროს მართავს ბუნების კანონები, მაშინ, სავარაუდოა, რომ სოციალურ სამყაროსაც მართავდეს მისივე კანონები. ამგვარად, ფილოსოფიის ამოცანაა გონებითა და გამოკვლევებით დაადგინოს სოციალური სამყაროს კანონები. სოციალური სამყაროს კანონების დადგენის შემდეგ განმანათლებლები ისახავენ პრაქტიკული მიზნებს – შექმნან „უკეთესი“, უფრო რაციონალური სამყარო.



გონიერების როლის აღნიშვნისას, განმანათლებლობის ფილოსოფოსები მზად იყვნენ ეჭვი შეეტანათ ტრადიციულ ძალაუფლებაში. იკვლევდნენ ტრადიციული ღირებულებებსა და ინსტიტუტების, ისინი ხშირად მიიჩნევდნენ მათ არაგონივრულად ე.ი. ადამიანის ბუნების საწინაარმდეგოდ, რომელიც ამუხრუქებდა ადამიანის ზრდასა და განვითარებას. განმანათლებლობის ფილოსოფოსები, ორიენტირებულნი თავიანთი იდეების პრაქტიკულად განხორციელებაზე და საზოგადოების რეალურ ცვლილებებზე, თავის მისიას ხედავენ ამ არაგონივრული სისტემების გარდაქმნაში. მარქსი არის ის თეორეტიკოსი, რომელზედაც განმანათლებლობამ მოახდინა უშუალოდ პირდაპირი და პოზიტიური გავლენა. მაგრამ ის თავის ადრინდელ იდეებს აყალიბებდა გერმანიაში.

კონსერვატიული რეაქცია განმანათლებლობაზე.

ნათელია, საფრანგეთის კლასიკურ სოციოლოგიაზე, მსგავსად მარქსის თეორიისა, უშუალო და პოზიტიური გავლენა იქონია განმანათლებლობამ. ფრანგული სოციოლოგია გახდა რაციონალური, ემპირიული, მეცნიერული და ცვლილებებზე ორიენტირებული. ამავე დროს მის ჩამოყალიბებაზე არანაკლები გავლენა იქონია განმანათლებლობის საწინააღმდეგო იდეებმა. სედმანის თვალსაზრისით

„განმანათლებლობას დაპირისპირებული იდეოლოგია, ფაქტობრივად წარმოადგენდა განმანათლებლობისავე ლიბერალიზმს მხოლოდ დაყენებულს თავდაყირა. განმანათლებლობის კრიტიკის მოდერნისტულ წანამძღვრებში შეიმჩნევა ძლიერი ანტიმოდერნისტული განწყობა“. როგორც ვხედავთ სოციოლოგია ზოგადად და კერძოდ ფრანგული სოციოლოგია თავიდანვე იყო განმანათლებლობისა და მისი მოწინააღმდეგე იდეების ძნელადმოსანელებელი „ნარევი“.

განმანათლებლობის იდეებისადმი ოპოზიციის რადიკალური ფორმა იყო ფრანგული კათოლიკური კონტრრევოლუციური ფილოსოფია, წარმოდგენილი ლუი დე ბონალდისა (1794-1840) და ჟოზეფ დე მესტრას (1753-1821) იდეებით. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ არა მხოლოდ განმანათლებლობას, არამედ საფრანგეთის რევოლუციასაც, რომელიც ნაწილობრივ მიაჩნდათ აზროვნების განმანათლებლობისათვის დამახასიათებელო წესის რეზულტატად. მაგალითად, დე ბონელი შემრწუნებული იყო რევოლუციური ცვლილებებით და სწყუროდა შუასაუკუნეების მშვიდი და ჰარმონიული სინამდვილისაკენ მიბრუნება. ამ თვალსაზრისით საზოგადოება ღვთიური წარმოშობისაა, მაშასადამე გონი, ასე მნიშვნელოვანი განმანათლებლობის ფილოსოფოსებისათვის, განიხილება როგორც ტრადიციულ რელიგიურ წარმოდგენებს დაქვემდებარებული. მეტიც, ითვლებოდა, რომ, რამდენადაც საზოგადოება შექმნა ღმერთმა, ადამიანები არ უნდა ჩაერიონ არსებულ წესრიგში და არ უნდა შეეცადნონ ღვთიურ ქმნილებებში ცვლილებების შეტანას. ამასთანავე დე ბონალდი ეწინააღმდეგება ისეთი ტრადიციული ინსტიტუტების ნგრევას, როგორებიცაა პატრიარქატი, მონოგამიური ქორწინება, მონარქია და კათოლიკური ეკლესია.

თუმც დე ბონალდის შეხედულებები წარმოადგენენ კონსერვატიული რეაქციის საკმაოდ უკიდურეს ფორმას, ამ მოაზროვნის შემოქმედება ნათლად წარმოგვიდეგენს ამ მოძღვრების მირითად შემადგენელ ნაწილებს. კონსერვატიულმა მოაზროვნეებმა უარი თქვეს იმაზე, რასაც ეძახიან განმანათლებლობის

„გულუბრყვილო“ რაციონალიზმს. ისინი არა მხოლოდ აღიარებენ სოციალური ცხოვრების

ირაციონალურ ასპექტებს, კიდევ მიაწერენ მათ დადებით საზრისს. ამგვარად, ისინი ისეთ ფენომენებს როგორებიცაა ტრადიცია, ამაღლებული ემოციურობა, წარმოსახვა და რელიგია განიხილავდნენ,



როგორც საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის სასარგებლო და აუცილებელ კომპონენტებს. ისინი უარყოფენ გადატრიალებებს და მიისწრაფვიან შეინარჩუნონ არსებული წესრიგი, კიცხავდნენ განვითარების ისეთ ფორმებს, როგორებიცაა ფრანგული რევოლუცია, სამრეწველო გადატრიალება, აიგივებდნენ მათ გამანადგურებელ ძალებთან. კონსერვატიულ მოაზროვნებს ახასიათებთ საზოგადოებრივი წესრიგის როლის ხაზგასმა. ეს როლი რამოდენიმე თეორეტიკოს-სოციოლოგის შრომებში წამყვანი თემაა.

ცეიტლინმა გამოყო ათი ძირითადი დებულება, რომლებიც მისი აზრით, გამომდინარეობენ კონსერვატიული რეაქციის წარმომადგენელთა შეხედულებებიდან და შეადგენენ ფრანგული კლასიკური სოციოლოგიის თეორიულ საფუძველს.

1. მაშინ როდესაც განმანათლებლობის მოაზროვნები ხაზს უსვამდნენ ინდივიდუალურობის მნიშვნელობას, კონსერვატიული რეაქციონერების ინტერესები უფრო სოციალურ ხასიათს ატარებდა: აქცენტი კეთდებოდა საზოგადოებისა და სხვა უფრო მაშტაბური ფენომენების როლზე. საზოგადოება განიხილებოდა, როგორც ინდივიდთა უბრალო ერთობაზე უფრო მეტი რამ. ითვლებოდა, რომ საზოგადოებას აქვს განვითარების საკუთარი კანონები, როლებიც სათავეს იღებენ შორეულ წარსულში.
2. საზოგადოება გადაიქცა ანალიზის მთავარ ერთეულად; ის განიხილებოდა, როგორც უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე ინდივიდი. სწორედ საზოგადოება ქმნის ინდივიდს, უპირატესად სოციალიზაციის პროცესში.
3. ინდივიდუმი თვით სზოგადოების შიგნითაც არ განიხილება როგორც ძირითადი ელემენტი. საზოგადოების შემადგენელ კომპონენტებად ითვლებოდა როლი, მდგომარეობა, სტრუქტურა და ინსტიტუტები. ინდივიდის როლი ოდნავ უფრო მეტია ვიდრე ამ კომპონენტების უჯრედების უბრალოდ შევსება.
4. საზოგადოების ნაწილები არსებობენ ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში. რა თქმა უნდა ეს ურთიერთდამოკიდებულება საზოგადოების საფუძველია. ამ თვალსაზრისს მივყევართ კონსერვატიულ პოლიტიკურ ორიენტაციამდე. რადგან საზოგადოების ყველა ნაწილი ურთიერთდამოკიდებულია, თითოეული მათგანის დასუსტება ზემოქმედებს მეორეზე და საბოლოოდ მთელ სისტემაზე. ეს კი ნიშნავს, რომ სოციალური სისტემის ყველა ცვლილებები უნდა ტარდებოდეს უდიდესი სიფრთხილით.
5. ცვლილებები განიხილებოდა როგორც საშიშროება არა მხოლოდ საზოგადოებისა და მისი კომპონენტებისათვის, არამედ აქ მყოფი ინდივიდუმებისათვისაც. საზოგადოების სხვადასხვა კომპონენტები მოწოდებულნი იყვნენ ადამიანების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.
6. ვარაუდობდნენ, რომ ინსტიტუტების ნგრევა ადამიანებს ტანჯვას მიაყენებს, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს სოციალურ უწესრიგობას.
7. ზოგადი ტენდენციის თანახმად საზოგადოების მსხვილი შემადგენელი ნაწილები სასარგებლოა ინდივიდუმებისა და საზოგადოებისათვის. შედეგად არ არსებობდა არსებული სოციალური ინსტიტუტების საქმიანობის ნეგატიური შეფასებების არავითარი მოტივაცია.
8. შედარებით წვრილი კომპონენტები, როგორებიცაა ოჯახი, მეზობლობა, რელიგიური ან დასაქმების მიხედვით შედგენილი ჯგუფები, ასევე ითვლებოდა სასარგებლოდ საზოგადოებისა და ინდივიდებისათვის, რადგან აქ იქმნებოდა ახლო და თბილი ატმოსფერო, რაც ძალზე საჭირო თანამედროვე საზოგადოებაში თავის შესანარჩუნებლად.



9. მიიჩნევდნენ, რომ თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ცვლილებები, როგორებიცაა ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია და ბიუროკრატიზაცია იწვევენ სოციალურ უწესრიგობას. მათ შიშით და განგაშით შეჰყურებდნენ, მიუთითებდნენ მათი დამანგრეველი ძალების ნეიტრალიზების მიზნით ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე.
10. მაშინ როდესაც ამ შიშისმომგვრელ ცვლილებებს საზოგადოება მიყავდა უფრო რაციონალური წყობისაკენ, კონსერვატიული ოპოზიცია ხაზს უსვამდა ირაციონალური ფაქტორების მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მაგალითად, რიტუალებს, ცერემონიებს, ღვთისმსახურებას).

და ბოლოს, კონსერვატორები იცავდნენ საზოგადოების იერარქიულ სისტემას, მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ საზოგადოებრივი მდგომარეობისა და წახალისების დიფერენცირებული სისტემის არსებობას.

განმანათლებლობაზე კონსერვატიული რეაქციის გავლენით ჩამოყალიბებული ეს ათი დებულება უნდა ჩაითვალოს ფრანგული სოციოლოგიური თეორიის განვითარების უშუალო ინტელექტუალურ საფუძვლად. რავალმა ამ იდეათაგან განვითარების ადრინდელ საფეხურებზე შეაღწია სოციოლოგიურ აზრში. ამასთანავე განმანათლებობის ზოგიერთმა იდეამ (მაგალითად, ემპირიზმმა) ასევე იქონია გავლენა ფრანგული სოციოლოგიის ფორმირებაზე. (თუმცა ჩვენ ავღიშნეთ განხეთქილება განმანათლებლობასა და ოპოზიციას შორის, სედმანი თვლის, რომ არსებობს ასევე კავშირი და მემკვიდრეობითობა. ჯერ-ერთი, ოპოზიციამ აღიქვა და მიიღო განმანათლებლობის მიერ განვითარებული მეცნიერული ტრადიცია. მეორე, მან აიტაცა და მნიშვნელოვნად გააფართოვა განმანათლებლობის მიერ დამკვიდრებული კოლექტიურობის იდეა (ინდივიდუალიზმის საპირისპიროდ). მესამე, ორივე შემთხვევაში ადგილი ქონდა ინტერესს თანამედროვე სამყაროს პრობლემებისადმი და გაცნობიერებულია ადამიანებზე მათი ნებატიური ზემოქმედება.

ფრანგული სოციოლოგიის განვითარება.

ახლა მივმართოთ სოციოლოგიის, როგორც ცალკე დისციპლინის საფუძვლებს, განსაკუთრებით სამი ფრანგი მოაზროვნის: კლოდ სენ_სიმონის, ოგიუსტ კონტისა და მირითადად ემილ დიურკემის შემოქმედებას.

კლოდ ანრი სენ - სიმონი (1760-1825) იყო ო.კონტის წინამორბედი. კონტი ახალგაზრდობაში იყო სენ - სიმონის მდივანი და მისი მოწაფე. ამ ორი მოაზროვნის იდეები ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ მათ შორის მაინც დაიწყო მძაფრი პოლემიკა, რამაც ისინი ერთმანეთს დააშორა. სენ-სიმონის მოღვაწეობის განსაკუთრებით საინტერესო ასპექტია მისი როლი კონსერვატიული (როგორც კონტან) თეორიისა და მარქსისტულის მსგავსი რადიკალური თეორიის განვითარებაში. კონსერვატიული თვალსაზრისით

სენ_სიმონს სურს შეინარჩუნოს არსებული საზოგადოება და დე ბონალდისა და დე მესტრას მსგავსად არ აპირებდა შუასაუკუნეებისაკენ დაბრუნებას. ამას გარდა ის იყო პოზიტივისტი ე.ი. მას სჯერა - სოციალური მოვლენების შესწავლისას გამოყენებულ უნდა იქნას იგივე მეთოდები, რომლებიც გამოიყენებიან ბუნებათმეცნიერებაში. რადიკალური თვალსაზრისით სენ-სიმონი ხედავს სოციალური რეფორმების აუცილებლობას, განსაკუთრებით ეკონომიკის ცენტრალიზებულ დაგეგმვას. მაგრამ ის ვერ მიუახლოვდა იმას, რასაც შემდეგ მარქსი გააკეთებს. თუმც სენ - სიმონი, ისევე, როგორც მარქსი ხედავს,



რომ კაპიტალისტებმა განდევნეს წარჩინებული ფეოდალები, მისთვის წარმოუდგენელია, რომ მუშათა კლასი შეცვლის კაპიტალისტებს. სენ - სიმონის ბევრი იდეა შეიძლება აღმოვაჩინოთ ო.კონტან, მაგრამ უკვე განვითარებული და სისტემატიზირებული სახით.

ოგიუსტ კონტი (1798 - 1857) იყო პირველი ვინც გამოიყენა ტერმინი - სოციოლოგია. მას დიდი გავლენა ქონდა შემდგომი დროის თეორეტიკოს სოციოლოგებზე (განსაკუთრებით, ჰ.სპენსერსა და ე.დიურკემზე). როგორც თეორიული სოციოლოგიის კლასიკოსებს და თანამედროვე სოციოლოგთა უმრავლესობას, კონტსაც მიაჩნდა, რომ სოციოლოგიის შესწავლა უნდა იყოს მეცნიერულად დასაბუთებული.

კონტი შეშფოთებულია ფრანგულ საზოგადოებაში ძალაუფლების სრული არასებობით და აკრიტიკებდა იმ მოაზროვნეებს, რომლებმაც შვეს განმანათლებლობისა და რევოლუციის იდეები. მან შეიმუშავა საკუთარი თეორია „პოზიტივიზმი“ (ან „პოზიტიური ფილოსოფია“), რითაც უნდოდა დაპირისპირებოდა განმანათლებლობის ფილოსოფიას, რომელიც ნეგატიურად და დამღუპველად მიაჩნდა. კონტის შეხედულებები სრულ ჰარმონიაშია და მეტიც, საკუთარ თავზე განიცდის ფრანგი კათოლიკების – რევოლუციის მოწინააღმდეგეთა გავლენას (განსაკუთრებით დე ბონალდისა და დე მესტრის). მაგრამ მისი შრომები განსხვავდებიან ამ ორის შრომებისაგან, მინიმუმ ორი ასპექტით. ჯერ- ერთი, ის გამორიცხავს შუასაუკუნეებისაკენ დაბრუნების შესაძლებლობას; მეცნიერებისა და მრეწველობის განვითარებამ ეს შეუძლებელი გახადა. მეორე, კონტმა შექმნა უფრო რთული თეორიული სისტემა, ვიდრე მისმა წინამორბედებმა, რაც საკმარისი იყო ადრინდელი სოციოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოსაყალიბებლად.

კონტმა დაამუშავა სოციალური ფიზიკა, ანუ ის რასაც 1832 წელს სოციოლოგია დაარქვა. სოციალური ფიზიკის ტერმინის გამოყენება მიანიშნებს კონტის მისწრაფებაზე შეექმნა სოციოლოგია ზუსტი მეცნიერების ანალოგით. ვარაუდობდა, რომ ეს ახალი მეცნიერება, რომელიც, მისი აზრით, საბოლოოდ გადაიქცეოდა უმთავრეს მეცნიერებად, შეისწავლიდა სოციალურ სტატიკას (არსებულ სოციალურ სტრუქტურებს) და სოციალურ დინამიკას (სოციალურ ცვლილებებს), ორივე დაკავებულია სოციალური ცხოვრების კანონების ძიებით, თუმცა კონტი უპირატესობას სოციალურ დინამიკას ანიჭებს. ცვლილებებზე აქცენტი ასახავს მის ინტერესს სოციალური რეფორმებისადმი, კერძოდ იმ რეფორმებისადმი, რომელიც განახორციელა საფრანგეთის რევოლუციამ და განმანათლებლობამ. კონტს არ მოსწონს რევოლუციით გამოწვეული ცვლილებები, რადგან მიაჩნდა, რომ ბუნებრივი ევოლუცია უკეთეს შედეგებამდე მიიყვანს საზოგადოებას. რეფორმები კი საჭიროა მხოლოდ იმისათვის რომ ოდნავ დაეხმარო ბუნებრივ პროცესს.

ეს ჩვენ მიგვიყვანს კონტისეული მიდგომის ქვაკუთხედამდე – ევოლუციონისტურ თეორიამდე, ამუ სამი სტადიის კანონამდე, რომლის თანახმად არსებობენ ინტელექტუალური საფეხურები, რომლებზეც

უნდა გაიაროს მთელმა კაცობრიობამ და ეს ახასიათებს არა მხოლოდ კაცობრიობას არამედ: ჯგუფებს,

საზოგადოებას, მეცნიერებას, ინდივიდებსა და გენიოსებიც იმავე სამ საფეხურს გაივლიან.

პირველი საფეხური - თეოლოგიური, მთავრდება 1300 წელს. ამ დრომდე იდეათა მთავარი სისტემა პირველ ადგილზე აყენებდა ზებუნებრივი ძალებისა და რელიგიური ფიგურების რწმენას, რომელიც



შექმნილია ადამიანის მსგავსად და არის ყოველივე არსებულის წყარო. სოციალური და ფიზიკური სამყარო გამორჩეულად ითვლებოდა ღმერთის ქმნადობის შედეგად. მეორე საფეხური - მეტაფიზიკური, მოიცავს დაახლოებით 1300-1800 წლებს. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია რწმენა, რომ აბსტრაქტულ ძალებს, „ბუნებას“ და არა პერსონიფიცირებულ ღმერთებს შეუძლიათ პრაქტიკულად ყველაფრის ახსნა. და ბოლოს, 1800 წლიდან სამყარო შედის პოზიტივისტურ სტადიაში, რომელსაც მეცნიერებისადმი რწმენა ახასიათებს. ხალხი თანხმდება დაანებოს თავი აბსოლუტური მიზნების (ღმერთის ან ბუნების) მიებას და ამის ნაცვლად გადაერთოს სოციალური და ფიზიკური სამყაროს მოვლენებზე, დაკვირვებით ეძიოს ის კანონები, რომლებიც მათ მართავენ.

ნათელია, თავის თეორიაში კონტი აქცენტს აკეთებს ინტელექტუალურ ფაქტორებზე. ის ამტკიცებდა, რომ სოციალური უწესრიგობის მიზეზია ინტელექტუალური უწესრიგობა. ამ უწესრიგობის წყაროა ადრინდელი ეპოქების (თეოლოგიური ან მეტაფიზიკური) იდეები, რომლებიც პოზიტიურ (მეცნიერულ) ეპოქაშიც აგრძელებენ არსებობას. მხოლოდ მაშინ, როდესაც პოზიტივიზმი მთლიანად აიღებს კონტროლს საკუთარ ხელში, შეწყდება კიდევ სოციალური გადატრიალებები და რევოლუციები. რამდენადაც ეს პროცესი ევოლუციურია, აღარ იარსებებს გადატრიალებებისა და რევოლუციების აუცილებლობა. მაგრამ შესაძლებელია პოზიტივიზმის ერა არც ისე მალე დადგეს, როგორც ეს ზოგიერთებს სურს. აქ სოციალური რეფორმიზმი და კონტის სოციოლოგია ურთიერთთანხმდებიან. სოციოლოგიას შეეძლო დაეჩქარებინა პოზიტივიზმის გაბატონება და, მაშასადამე, სოციალურ სამყაროში შეეტანა წესრიგი. უპირველეს ყოვლისა, კონტის არ სურს ჩათვალონ ის რევოლუციის მომხრედ. მისი აზრით სამყაროში უკვე საკმაოდ იყო უწესრიგობა. ნებისმიერ შემთხვევაში, კონტის აზრით, ინტელექტუალური ცვლილებები აუცილებელი იყო, ასე, რომ სოციალური და პოლიტიკური რევოლუციებისათვის საბაბი ცოტაა.

ჩვენ უკვე შეგვხვდა კონტის ზოგიერთი მოსაზრებები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ქონდა კლასიკური სოციოლოგიის განვითარებისათვის: მისი საბაზო კონსერვატიზმი, რეფორმიზმი და სციენტიზმი, ასევე მისი ევოლუციური შეხედულებები სამყაროზე. არის კიდევ მისი შემოქმედების სხვა ასპექტებიც, რომლებიც იმსახურებენ გახსენებას, იმიტომ, რომ მოწოდებულნი იყვნენ შეესრულებინათ მნიშვნელოვანი როლი სოციოლოგიური თეორიის განვითარებაში. მაგალითად, მისი სოციოლოგია არ ფოკუსირდება პიროვნებაზე, ანალიზის საწყის ერთეულად იღებს უფრო მსხვილ ორგანიზმებს, ისეთებს, როგორიცაა ოჯახი. კონტი ასევე მოითხოვდა ყურადღება მიექციათ, როგორც სოციალურ სტრუქტურაზე, ასევე სოციალურ დინამიზმზე. შემდგომი დროის სოციოლოგიური თეორიის განვითარებაზე, განსაკუთებით სპეციალისა და პარსონსის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კონტის აქცენტმა საზოგადოების აგებისას სისტემურობის აუცილებლობაზე, კავშირზე მის სხვადასხვა კომპონენტებს შორის. მან ასევე დიდი მნიშვნელობა მიანიჭა საზოგადოებრივი თანხმობის როლს. კონტის უნაყოფოდ მიაჩნდა მუშებისა და კაპიტალისტებს შორის კონფლიქტის აუცილებლობის იდეა. გარდა ამისა, ის ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია აბსტრაქტული თეორიების თხზვა და სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარება. ის არწმუნებდა სოციოლოგებს გამოეყენებინათ ისეთი მეთოდები, როგორებიცაა დაკვირვება, ექსპერიმენტი, შედარებითი ისტორიული ანალიზი და ბოლოს,

კონტი დარწმუნებულია, რომ სოციოლოგია თავისი უნარით დაადგინოს სოციალური კანონები და შეიმუშავოს რეფორმები საზოგადოების შიდა რეფორმების გადასაჭრელად გახდება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მეცნიერული ძალა.



კონტი იდგა პოზიტიური სოციოლოგიის განვითარების წინა ხაზზე, ჯონათან ტერნერის მიხედვით კონტის პოზიტივიზმი ხაზს უსვამდა, რომ „სოციალური სამყარო ვალდებულია განავითაროს აბსტრაქტული კანონები, რომელთა შემოწმება შესაძლებელია მონაცემთა მონდომებული შეკრებით“ და

„ეს აბსტრაქტული კანონები მიგვანიშნებენ სოციალური სამყაროს მთავარ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან თვისებებზე და ისინი ზუსტად განსაზღვრავენ მათ „ბუნებრივ კავშირებს“ (1985, 24). შემდეგ დავინახავთ, რომ ზოგიერთი კლასიკოსები (განსაკუთრებით სპენსერი და დიურკემი) იზიარებენ კონტისეულ ინტერესს სოციალური ცხორების კანონების დადგენისადმი. პოზიტივიზმი ინარჩუნებს მნიშვნელობას თანამედროვე სოციოლოგიაში და ამავე დროს მას თავს ესხმიან სხვადასხვა პოზიციებიდან.

თავისი სოციოლოგიური თეორიის სკოლის დასაფუძნებლად კონტს არ ყოფნიდა ძლიერი აკადემიური ბაზა, მაგრამ მან საფუძველი ჩაუყარა სოციოლოგიური თეორიის მნიშვნელოვან მიმართულებას. კონტის როლი მომავალი თაობებისათვის დააკნინა ფრანგული სოციოლოგიის მისმა მიმდევარმა და მისი შემოქმედებითი იდეების ერთ-ერთმა მემკვიდრემ – ემილ დიურკემმა (იმ დისკუსიის შესახებ, რომელიც ეხებოდა დიურკემისა და სხვა კლასიკოსების აღიარებას, რომელთა თეორიებს განვიხილავთ ამ თავში, იხილეთ იხ.

ემილ დიურკემი (1858-1917)

განმანათლებლობამ მთლიანობაში უარყოფითად იმოქმედა დიურკემის შრომებზე, მაგრამ არის გარკვეული პოზიტიური გავლენაც: მეცნიერული მიდგომის აღიარება და სოციალური რეფორმიზმი. მაგრამ უფრო სწორი იქნება თუ დურკჰემს ჩავთვლით კონსერვატიული ტრადიციების მემკვიდრედ, განასაკუთრებით იმ ნაწილში როგორც ის იყო წარმოდგენილი კონტის შემოქმედებაში. მაგრამ მაშინ ის კონტის მსგავსად დარჩებოდა აკდემიური წრეების მიღმა. კარიერის კვალდაკვალ, მან შეიქმნა აკადემიური ბაზა, საფრანგეთში დააფუძნა სოციოლოგია, საბოლოო ჯამში, მისი შრომები წამყვანი გახდნენ მთლიანად სოციოლოგიაში და უფრო მეტად სოციოლოგიური თეორიის განვითარებაში.

პოლიტიკურ შეხედულებებში დიურკემი ლიბერალია, ინტელექტუალური თვალსაზრისით მას უფრო კონსერვატიული პოზიცია უკავია. როგორც კონტი და რევოლუციის კათოლიკე მოწინააღმდეგენი, დურკჰემიც უფრთხის სოციალურ ქაოსს და ეზიზდება ის. მის შრომებზე გავლენა იქონია სოციალური ცვლილებებით გამოწვეულმა არეულობებმა, რომლებსაც ამ თავში ადრე შევეხეთ, და სხვა ცვლილებებმაც, როგორებიცაა გაფიცვები მრეწველობაში, მმართველი კლასის დაშლა, ეკლესიისა და სახელმწიფოს უთანხმოება, პოლიტიკური ანტისემიტიზმის ზრდა, რაც ძალიან ახასიათებდა დიურკემის ეპოქის საფრანგეთს. ფაქტობრივად მისი შრომების უმრავლესობა სოციალურ წესრიგს. ის თვლის, რომ სოციალური არეულობა არ არის თანამედროვე სამყაროსათვის გარდუვალი რამ და შეიძლება შემცირდეს და მოწესრიგდეს სოციალური რეფორმების წყალობით. მაშინ, როდესაც კ.მარქსი თანამედროვეობის პრობლემებს უყურებს, როგორც საზოგადოების ატრიბუტს, დიურკემს (როგორც კლასიკური თეორეტიკოსების უმრავლესობას) სხვა პოზიცია უკავია. ამგვარად, მარქსის იდეები სოციალური რევოლუციის აუცილებლობის შესახებ წინააღმდეგობაშია დიურკჰემისა და სხვათა



სოციალურ რეფორმიზმთან. სოციოლოგიური თეორიის განვითარების კვალდაკვალ ძლიერდება დურკჰემის ინტერესი წესრიგისა და რეფორმებისადმი, მარქსის პოზიცია კი რჩება ჩრდილში.

სოციალური ფაქტები. დიურკჰემა შეიმუშავა სოციოლოგიის საგნის კონცეფცია და შემდეგ ემპირიულადაც შეამოწმა. თავის „სოციოლოგიის მეთოდის წესებში“ (1895\1964), დიურკჰემი ამტკიცებს, რომ სოციოლოგიის განსაკუთრებული მოწოდებაა იმის შესწავლა, რასაც მან სოციალური ფაქტები დაარქვა. მას სოციალური ფაქტები წარმოდგენილი აქვს ძალისა და სტრუქტურის სახით, რომლებიც ინდივიდებთან მიმართებაში გარეგანი და იძულებითი არიან. ამ მსხვილმაშტაბიანი ძალებისა და სტრუქტურების შესწავლა, მაგალითად ინსტიტუციონიზირებული კანონი, კოლექტიური მორალური კრედიტი და მათი გავლენა ადამიანებზე აწუხებს სოციოლოგიის ბევრ უფრო გვიანდელ თეორეტიკოსებს (მაგალითად, პარსონსს). წიგნში „თვითმკვლელობა“ დიურკჰემი ამტკიცებდა, რომ თუ მან შესძლო კავშირის დადგენა ისეთ ინდივიდუალურ ქცევას, როგორიცაა თვითმკვლელობა და სოციალურ მიზეზს (სოციალურ ფაქტებს) შორის, ეს იქნება დამაჯერებელი მაგალითი სოციოლოგიური დისციპლინის მნიშვნელობისა. მაგრამ დიურკჰემა არ გამოიკვლია ცალკეული ინდივიდის მკვლელობის მიზეზები; მას უფრო აინტერესებდა ჯგუფების, რეგიონების, ქვეყნებისა და ადამიანეთა სხვადასხვა კატეგორიების (დაოჯახებული, მარტოხელა) თვითმკვლელობის მონაცემების განსხვავების მიზეზები. მისი ძირითადი არგუმენტი იყო ის, რომ თვითმკვლელობებში ჩვენებების განსხვავებას ქმნის სოციალური ფაქტების ბუნება და ცელილებები მათში. მაგალითად, ომს ან ეკონომიკურ კრიზისს შეუძლია გამოიწვიოს კოლექტური დეპრესია, რაც თავის მხრივ გამოიწვევს თვითმკვლელობების მაჩვენებლების ზრდას. ამ თემაზე საუბარი კიდევ დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ მთავარია ის, რომ დიურკჰემა შეიმუშავა მწყობრი და ნათელი სოციოლოგიური კონცეფცია და ცდილობდა მისი სარგებლიანობის დემონსტრირებას თვითმკვლელობის მეცნიერული შესწავლისას.

„სოციოლოგიური მეთოდის წესებში“ დიურკჰემი განსხვავებს სოციალური ფაქტების ორ ტიპს: მატერიალურს და არამატერიალურს. ნაშრომში ის ეხება ორივეს, მაინც შეიმჩნევა აქცენტი არამატერიალურ სოციალურ ფაქტებზე (მაგალითად, კულტურა, სოციალური ინსტიტუტები), და არა მატერიალურ სოციალურ ფაქტებზე (მაგალითად, ბიუროკრატია, კანონი). განსაკუთრებული ყურადღება არამატერიალურ ფაქტებზე უკვე ჩანდა მის ადრინდელ მთავარ ნაშრომში „შრომის საზოგადოებრივი დანაწილება“ (1893\1964). ამ ნაშრომში ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმის შედარებით ანალიზს, რაც აერთიანებს საზოგადოებას პრიმიტიულ და თანამედროვე ეპოქებში. მან დაასკვნა, რომ ადრინდელ საზოგადოებას ძირითადად აერთიანებდა არამატერიალური სოციალური ფაქტები, განსაკუთრებით მკაცრი კოლექტიური მორალი, ან ის, რასაც მან „კოლექტიური სინდისი“ უწოდა. მაგრამ თანამედროვე საზოგადოების სირთულის გამო კოლექტიური სინდისი გაუფასურდა. თანამედროვებაში უპირველესი გამაერთიანებელი ძალა გახდა შრომის რთული დანაწილება, რომელმაც განაპირობა ადამიანთა შორის დამოკიდებული ვითარება. ამასთან ერთად, დიურკჰემი თვლის, რომ შრომის თანამედროვე დანაწილებას თან მოყვა გარკვეული „პათოლოგიები“: სხვა სიტყვებით, ეს იყო საზოგადოების გაერთიანების არაშესაფერისი მეთოდი. დიურკჰემის სოციოლოგიის კონსერვატიზმის გათვალისწინებით, ერთი რამ ცხადია: მას არ მიაჩნდა რევოლუცია ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებად. პირიქით, ის თავაზობს საზოგადოებას სხვადასხვა სახის რეფორმებს, რომელთაც შეეძლოთ „მოეშუმებინათ“ თანამედროვე სისტემის ტკივილები და დახმარებოდა არსებობაში. ის აღიარებდა, რომ



კოლექტიური სინდისის ზეობით შუასაუკუნეებისაკენ მიბრუნება გამორიცხულია, მაგრამ მაინც ვარაუდობდა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში შესაძლებელია

საზოგადოებრივი მორალის გაძლიერება, და ეს შედარებით გაუადვილებდა ხალხს პათოლოგიების დაძლევას.

რელიგია. დიურკემის გვიანდელ შრომებში სოციალურ ფაქტებს მეტი ყურადღება ეთმობა. ფაქტობრივად, მან თავის ბოლო მთავარ ნაშრომში „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები“ ყურადღების ცენტრში მოაქცია არამატერიალური სოციალური ფაქტების, ალბათ, უკიდურესი ფორმა – რელიგია. დიურკემი სწავლობს პრიმიტიულ საზოგადოებას, ცდილობს მოიძიოს რელიგიის ფესვები. ის ვარაუდობს, რომ ამ ფესვების მომიება შედარებით ადვილად მოხერხდება პრიმიტიული საზოგადოების სიმარტივეში, ვიდრე თანამედროვე საზოგადოების რთულ ბუნებაში. მას ეჩვენება, რომ რელიგიის წყაროები არის საზოგადოება. საზოგადოება ანიჭებს ზოგიერთ საგნებს რელიგიურობის სტატუსს, სხვას კი საეროსას. კერძოდ მოვლენა, რომელიც შეისწავლა მან – გვარი – არის რელიგიის პირველყოფილი ფორმის ტოტემიზმის წყარო, რადგან აქ გაღმერთებულია მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. თავის მხრივ ტოტემიზმი განიხილებოდა, როგორც ატამატერიალური სოციალური ფაქტის განსაკუთრებული სახე, როგორც კოლექტიური სინდისის ფორმა. ბოლოს და ბოლოს დიურკემი დარწმუნდა, რომ საზოგადოება და რელიგია (ან უფრო ზუსტად, კოლექტიური სინდისი) ერთი და იგივეა. რელიგიის სახით საზოგადოება გამოხატავს საკუთარ თავს, როგორც არამატერიალური სოციალური ფაქტი. შემდეგ დიურკემი, გარკვეული აზრით მივიდა საზოგადოებისა და მისი ძირითადი პროდუქტების გაღმერთებამდე. გასაგებია, საზოგადოების გაღმერთებით დიურკემი დადგა ძალზე კონსერვატიულ პოზიციაზე, რომელიც გამორიცხავს ღმერთის ან მისი სოციალური წყაროს დამხობას. საზოგადოებისა და ღმერთის გაიგივებით დიურკემი არ მიისწრაფის სოციალური რევოლუციისაკენ. პირიქით, ის იყო სოციალური რეფორმატორი, ეძიებდა გზებს საზოგადოებრივი სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებისაკენ. როგორც ამ, ასევე სხვა მიმართებაში დიურკემი მიდის ფრანგი კონსერვატიული სოციოლოგის კვალზე. ამავე დროს, ის თავს არიდებს კონსერვატორთა რიგ უკიდურესობებს, რაც ხელს უწყობდა მის აღიარებას ფრანგული სოციოლოგიის მნიშვნელოვან ფიგურად.

სსენებულმა წიგნებმა და სხვა მნიშვნელოვანმა ნაწარმოებებმა განაპირობა XIX_XXსს. მიჯნაზე საფრანგეთის მეცნიერებაში გამოეკვეთა სოციოლოგიური გამოკვლევების გარკვეული სფერო, რამაც დიურკემისათვის განაპირობა წამყვანი როლი ამ განვითარებად სფეროში. 1898წელს დიურკემმა დააფუძნა სოციოლოგიისადმი მიძღვნილი მეცნიერული ჟურნალი „სოციოლოგიური ყოველწლიური“ (წელიწდეული). ჟურნალი გადაიქცა სოციოლოგიის განვითარებისა და სოციოლოგიური იდეების გავრცელების ძლიერ ინსტრუმენტად. დურკემი ცდილობს გაზარდოს ინტერესი სოციოლოგიისადმი და თავისი ჟურნალის, როგორც ბირთვის ირგვლივ შემოიკრიბა მისი მიმდევრების ჯგუფი, რომელთაც შემდეგ უნდა განეგრძოთ მისი იდეები, გაევრცელებინათ სხვა სფეროებზე (მაგალითად, კანონის სოციოლოგია, ქალაქის სოციოლოგია). 1910 წლისათვის დიურკემმა ჩამოაყალიბა სოციოლოგიური ცენტრი, რის შედეგადაც საფრანგეთში შეიმჩნეოდა სოციოლოგიის საბოლოო გაფორმება მეცნიერულ ინსტიტუტად.



გერმანული სოციოლოგიის განვითარება

თუ ფრანგული ადრინდელი სოციოლოგიის ისტორია წარმოადგენს განვითარების თანმიმდევრულ პროცესს დაწყებული განმანათლებლობისა და საფრანგეთის რევოლუციების ეპოქებიდან კონსერვატიულ რეაქციამდე და სენ-სიმონის, კონტისა და დიურკემის სოციოლოგიური იდეების მიშვნელობის აღმასვლამდე, გერმანული სოციოლოგია თავიდანვე იყო „ფრაგმენტალური“. ნაპრალი

გაჩნდა მარქსისა (და მის თანამებრძოლებს), რომელიც მიუახლოვდა სოციოლოგიის სათავეებს და ტრადიციული გერმანული სოციოლოგიის ტიტანებს – მაქს ვებერსა და გეორგ ზიმელს შორის (1). მაგრამ, თუმცა თვით მარქსის თეორია მიუღებლად ითვლებოდა, მისმა იდეებმა მაინც დაიმკვიდრა თავისი ადგილი გერმანული სოციოლოგიის გაბატონებულ მიმდინარეობებში.

კარლ მარქსის (1818-1883) თეორიის ფესვები და ხასიათი.

მარქსის მსოფლმხედველობაზე უზარმაზარი გავლენა იქონია გერმანულმა ფილოსოფოსმა გ. ჰეგელმა (1770-1831).

ჰეგელი. ბოლის თანახმად, ჩვენთვის ძნელია შევაფასოთ რა დონით დაიპყრო ჰეგელმა XIXს. პირველი მეოთხედის გერმანული აზრი. ეს ძირითადად ეხება მის ფილოსოფიას, რომელზედაც აღიზარდნენ გერმანელები, ახალგაზრდა მარქსის ჩათვლით, რომლებიც მსჯელობდნენ ისტორიაზე, კულტურაზე და პოლიტიკაზე. როდესაც მარქსი სწავლობდა ბერლინის უნივერსიტეტში მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე იმოქმედა ჰეგელის იდეებმა და ასევე იმ განხეთქილებამ, რომელსაც ქონდა ადგილი ჰეგელსა და მის მიმდევრებს შორის, ჰეგელის გარდაცვალების შემდეგ. „ძველი ჰეგელიანელები“ ეთანხმებოდნენ მასწავლებლის იდეებს, მაშინ როდესაც „ახალგაზრდა ჰეგელიანელები“ მისი ფილოსოფიური სისტემის ბევრ დებულებას აკრიტიკებდნენ, თუმცა აგრძელებდნენ მუშაობას ჰეგელისეულ ტრადიციებში.

ჰეგელის ფილოსოფიის არს შეადგენს ორი სიტყვა: დიალექტიკა და იდეალიზმი. დიალექტიკა არის როგორც აზროვნების წესი, ასევე სამყაროს სურათი, ხატი. ერთი მხრივ, ესაა აზროვნების წესი, რომელიც ხაზს უსვამს პროცესის მნიშვნელობას, მიმართებებს, დინამიკას, კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს – დინამიური და არა სტატიკური განაზრებები სამყაროზე. მეორე მხრივ, ესაა თვალსაზრისი, რომლის მიხედვით სამყარო წარმოდგენილია არა სტატიკური სტრუქტურებით, არამედ პროცესებით, მიმართებებით, დინამიკით, კონფლიქტებითა და წინააღმდეგობებით. თუმცა დიალექტიკა ჩვეულებრივ დაკვშირებულია ჰეგელის სახელთან ის რა თქმა უნდა წინ უსწრებს მის გამოვლენას ჰეგელის

1. ამის უარყოფა და თვალსაზრისი მარქსისტული შეხედულებებისა და სოციოლოგიის ძირითადი მიმდინარეობების მემკვიდრეობითობის შესახებ იხ. სედმანთან.

ფილოსოფიაში. ჰეგელის ტრადიციებში გაზრდილმა მარქსმა მიიღო დიალექტიკის მნიშვნელობა. მაგრამ ის გამოდის ჰეგელის მიერ ამ ცნების გამოყენების ზოგიერთი ასპექტის კრიტიკით. მაგალითად, ჰეგელი აპირებდა დიალექტიკის გამოყენებას მხოლოდ იდეებთან მიმართებაში, მაშინ, როდესაც მარქსი



გრძნობდა, რომ ის ასევე გამოყენებადია ცხოვრების უფრო მატერიალურ ასპექტებშიც, მაგალითად ეკონომიკაში.

ჰეგელის სახელი ასევე ასოცირდება იდეალისტურ ფილოსოფიასთან, სადაც აქცენტი გადატანილია გონის მნიშვნელობასა და ფსიქიკური ქმედებების შედეგებზე და არა მატერიალურ სამყაროზე. სოციოლოგიური თვალსაზრისით ფიზიკური და მატერიალური სამყარო უფრო ფართოა ვიდრე ფიზიკური და სოციალური სამყარო, როგორც ასეთი. უკიდურესი ფორმის იდეალიზმი ამტკიცებს, რომ არსებობს მხოლოდ გონი და ფსიქოლოგიური ხატები. ზოგიერთ იდეალისტებს სჯერათ, რომ მათი ფსიქოლოგიური პროცესები დარჩებიან უცვლელი მაშინაც კი, როდესაც ფიზიკური და სოციალური სამყარო აღარც კი იარსებებს. იდეალისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ არა მხოლოდ

ფსიქიკურ პროცესებს, არამედ იდეებსაც, რომლებიც ჩნდებიან ამ პროცესების შედეგად. ჰეგელმა დიდი ყურადღება დაუთმო მსგავსი იდეების განვითარებას, განსაკუთრებით იმათ, რომელთაც ის მიაკუთვნებდა საზოგადოების „სულს“.

ფაქტობრივად ჰეგელი იდეალიზმის ტერმინებში გვთავაზობდა სამყაროს ევოლუციის გარკვეულ ანალოგიას. თავდაპირველად ადამიანებს შეეძლოთ გარემო სამყაროს გაგება მხოლოდ სენსორულ დონეზე. მათ შეეძლოთ აღექვათ სინათლე, სუნი და ეგრძნოთ სოციალური და ფიზიკური სამყარო. მოგვიანებით განავითარეს გრძნობიერების უნარი, გაიგეს საკუთარი თავი. თვითშემეცნების განვითარებით ადამიანებმა გააცნობიერეს, რომ მათ ძალუმთ გახდნენ უფრო მეტი ვიდრე არიან. სხვა სიტყვებით, თუ გამოვიყენებთ ჰეგელის დიალექტიკურ მიდგომას გაჩნდა წინააღმდეგობა იმას შორის რაც ადამიანები არიან და რაც შეუძლიათ იყონ. ამ წინააღმდეგობის გადაჭრა შესაძლებელია ინდივიდების მხრიდან საზოგადოებაში მათი ადგილის გაზრებული ცოდნით. ინდივიდები მიდიან იმის გაგებამდე, რომ მათი ძირითადი დანიშნულებაა საზოგადოების სულის გაფართოება. მაშასადამე, ჰეგელის სქემაში ინდივიდი ვითარდება საგნების გაგებიდან საკუთარი თავის გაგებისაკენ და შემდეგ უკვე უფრო გლობალურ სისტემაში, საზოგადოებაში საკუთარი ადგილის გაგებისაკენ.

ამგვარად, ჰეგელმა შემოგვთავაზა სამყაროს ევოლუციის ძირითადი თეორია. ესაა სუბიექტური თეორია, რომლის თანახმად ცვლილებები მიმდინარეობს ცნობიერების დონეზე. მაგრამ ასეთი ცვლილება, როგორც წესი, მიმდინარეობს მოქმედი სახეებისაგან დამოუკიდებლად. ისინი წარმოადგენენ, არც მეტი არც ნაკლები, დაუცველ არსებებს, რომლებიც ემორჩილებიან ცნობიერების გარდუვალ ევოლუციას.

ფოიერბახი

ლუდვიგ ფოიერბახის (1804|1872) შემოქმედება გარკვეული ხიდია ჰეგელსა და მარქსს შორის. როგორც ახალგაზრდა ჰეგელიანელი ფოიერბახი აკრიტიკებდა ჰეგელის შეხედულებებს. ფოიერბახი აღნიშნავს, რომ ჰეგელი აზვიადებს ცნობიერებისა და საზოგადოების სულის(გონის) როლს. ფოიერბახის მიერ მატერიალისტური ფილოსოფიის მიღებამ ის მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ უნდა ჩამოშორდეს ჰეგელის იდეალიზმს და ყურადღება გაამახვილოს არა იდეებზე, არამედ რეალური ადამიანების მატერიალურ არსებობაზე. ჰეგელის კრიტიკისას ფოიერბახი აქცენტს აკეთებს რელიგიაზე. ფოიერბახის თანახმად ღმერთი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანების მიერ მათი ადამიანური არსების გაზვიადება და უსახო ძალებთან გაიგივება. ადამიანებმა ღმერთი თავის თავზე მაღლა აიყვანეს, შედეგად ისინი დაშორდნენ



ღმერთს და გადაიტანეს მასზე პოზიტიური მახასიათებლების მთელი სერია (წმინდანი, სრულყოფილი, ყოვლისშემძლე), მაშინ როდესაც საკუთარ თავს თვლიან არასრულფასოვნად, უძლურად, ცოდვილად. ფოიერბახი ამტკაცებდა, რომ რელიგიის ასეთი სახე უნდა დაიძლიოს და ამას ხელს შეუწყობს მატერიალიზმის ფილოსოფია, რომლის თანახმად სწორედ ადამიანები (არა რელიგია) წარმოადგენენ უმაღლეს მიზანს, თვითმიზანს. რეალურად ადამიანები, არა აბსტრაქტული იდეები, როგორც მაგალითად რელიგია, გაღმერთებულია მატერიალიზმის ფილოსოფიის მიერ.

მარქსი, ჰეგელი და ფოიერბახი. მარქსი, ერთი მხრივ, ორივეს გავლენის ქვეშ იყო, მეორე მხრივ კი ორივეს აკრიტიკებდა. მარქსი ფოიერბახის მსგავსად აკრიტიკებს ჰეგელს მისი იდეალიზმის გამო. მან დაიკავა ეს პოზიცია არა მხოლოდ მატერიალისტური მიმართულების მიღების გამო, ასევე პრაქტიკული მოღვაწეობის ინტერესითაც. ისეთ სოციალურ ფაქტებს, როგორებიცაა სიმდიდრე და შეძლება ჰეგელი უყურებდა უფრო როგორც იდეებს, ვიდრე როგორც რეალურ მატერიალურ მოვლენებს. მაშინაც კი,

როდესაც აანალიზებდა უეჭველად მატერიალურ პროცესებს, მაგალითად, შრომას, ჰეგელის მხედველობაში ქონდა მხოლოდ აბსტრაქტული გონებრივი შრომა. ეს ძლიერ განსხვავდება მარქსის რეალური, ცნობიერებით დაჯილდოებული ადამიანების შრომისადმი ინტერესისაგან. გარდა ამისა, მარქსი გრძნობდა, რომ იდეალიზმა ჰეგელი მიიყვანა უკიდურესად კონსერვატიულ პოლიტიკურ ორიენტაციამდე. ჰეგელის თანახმად ევოლუციური პროცესი მიმდინარეობდა ადამიანებისა და მათი საქმიანობისაგან დამოუკიდებლად. ნებისმირ შემთხვევაში, როდესაც ადამიანებს თითქოსდა უნდა ემოქმედათ ამაღლებულ, არავითარ რევოლუციურ ცვლილებებს არ ქონდა ადგილი; პროცესი მიდიოდა სასურველი მიმართულებით. ნებისმიერი პრობლემა დევს ცნობიერებაში და მაშასადამე მისი გადაჭრის გზები უნდა ვეძიოთ აზროვნების შეცვლაში.

მარქსს ეკავა სრულიად განსხვავებული პოზიცია, ამტკიცებდა რა, რომ თანამედროვე ცხოვრების პრობლემები შეიძლება დაიყვანილ იქნას რეალურ მატერიალურ მიზეზებზე (მაგალითად, კაპიტალისტური წყობის სტრუქტურებზე) და რომ ამ პრობლემების გადაჭრა შეიძლება მხოლოდ დიდი რაოდენობის ადამიანების კოლექტიური ძალისხმევის შედეგად ამ სტრუქტურების დამხობით. ჰეგელმა თავდაყირა დააყენა სამყარო (ე.ი. ყურადღება კონცენტრირებული ქონდა ცნობიერებაზე და არა ძირითადი სამყაროზე), მარქსმა კი თავისი დიალექტიკა ააგო მატერიალურ საფუძველზე.

მარქსმა მოიწონა ფოიერბახის მიერ რიგ პუნქტებში ჰეგელის კრიტიკა (მაგალითად, მოიწონა მისი მატერიალიზმი და ჰეგელის თეორიის აბსტრაქტულობის მიუღებლობა), მაგრამ მთლიანობაში ფოიერბახის პოზიცია მარქს არ ავმაყოფილებს (თომსონ, 1994). ჯერ_ერთი, ფოიერბახი აქცენტს აკეთებს რელიგიაზე, მაშინ, როდესაც მარქს მიაჩნდა, რომ გაანალიზებულ უნდა იქნას მთელი სოციალური სამყარო და კონკრეტულად ეკონომიკა. თუმცა მარქსმა მიიღო ფოიერბახის მატერიალიზმი, მაგრამ გრძნობდა, რომ ფოიერბახმა შორს შესტოპა მატერიალურ სამყაროზე თავისი ცალმხრივი, არადიალექტიკური კონცენტრირებით. ფოიერბახმა ვერ მოახერხა თავის მატერიალისტურ ორიენტაციაში ჩაერთო ჰეგელის მთავარი მონაპოვარი – დიალექტიკა, განსაკუთრებით ადამიანებისა და მატერიალური სამყაროს ურთიერთობაში. და ბოლოს, მარქსი ამტკიცებდა, რომ ფოიერბახმა, ისევე როგორც მრავალმა ფილოსოფობამა არ გაითვალისწინა პრაქტიკის როლი – პრაქტიკულ მოღვაწეობა,



განსაკუთრებით რევოლუციური აქტიურობა. კ.მარქსი ამის შესახებ წერს: „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად ხსნიან სამყაროს; მაგრამ საქმე ისაა, რომ ის შეიცვალოს”.

ამ ორ დიდ მოაზროვნეთაგან მარქსი გამოყოფს ორ, მისი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ელემენტს - ჰეგელთან დიალექტიკას და მატერიალიზმს ფოიერბახთან და აერთიანებს მათ თავის საკუთარ მიმართულებაში - დიალექტიკურ მატერიალიზმში, სადაც სიმძიმე გადატანილი აქვს დიალექტიკურ ურთიერთობებზე მატერიალურ სამყაროში.

პოლიტეკონომია. სავსებით ბუნებრივია, რომ საზოგადოების ეკონომიკური სექტორით ძლიერ დაინტერესებული მატერიალისტი მარქსი მიმართავს პოლიტიკური ეკონომისტების შემოქმედებას (როგორებიცაა, ადამ სმიტი და დავით რიკარდო). მარქსს ძალიან მოსწონდა მათი ბევრი პოზიცია. ის მიესალმებოდა მათ მთავარ წანამდღვრს _ შრომა არის ყოველგვარი კეთილდრეობის წყარო. მან, საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო მარქსის მიერ შრომის ღირებულებითი თეორიის შექმნას, სადაც ის ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტების მოგება ეფუძნება მშრომელთა ექსპლოატაციას. კაპიტალისტები ძალზე მარტივ ეშმაკობას მიმართავენ, უხდიან მუშებს უფრო ნაკლებს, ვიდრე მათ დაიმსახურეს, რადგან მათი ჯამაგირის ზომა ნაკლებია იმ საქონლის ღირებულებაზე, რომელსაც მუშები ქმნიდნენ

სამუშაო დღის განმავლობაში. ეს ზედმეტი ღირებულება, რომელსაც ინარჩუნებდნენ და კვლავ დებდნენ მრეწველობაში არის კაპიტალისტური სისტემის ძირითადი მიზანი. კაპიტალისტური სისტემა ვითარდება მშრომელთა ექსპლოატაციის მუდმივი ზრდით (და ცხადია, ზედმეტი ღირებულების ჯამით) და მოგების ჩადებით სისტემის გაფართოებაში.

მარქსზე ასევე იქონია გავლენა პოლიტიკური ეკონომისტების მიერ კაპიტალისტური სისტემისა და მშრომელთა ექსპლოატაციის შესახებ ჩამოყალიბებულმა წარმოდგენებმა. მაგრამ, როგორადაც არ უნდა დაეხატათ მათ ეს სურათი, მარქსი მათ აკრიტიკებდა იმის გამო, რომ ისინი ამ ბოროტებს თვლიდნენ კაპიტალისტური სისტემის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად. მარქსი არ ამართლებდა მათ მიერ კაპიტალიზმის მთლიანობაში აღიარებას, არც იმ წესს, რომლის საშუალებითაც ისინი აიძულებდნენ ადამიანებს ეშრომათ ეკონომიკური წინსვლისათვის მოცემული სისტემის ჩარჩოებში. მარქსი ასევე კრიტიკით უდგება პოლიტიკურ ეკონომისტებს იმის გამო, რომ მათ ვერ შენიშვნეს კაპიტალისტებისა და მშრომელების ურთიერთობისათვის დამახასიათებელი კონფლიქტი და რომ ისინი უარყოფდნენ ეკონომიკური ხასიათის რადიკალურ ცვლილებებს. მარქსს არ შეეძლო მიეღო მსგავსი კონსერვატიული ეკონომიკა, და დაწმუნდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის რადიკალური ფორმის განხორციელების აუცილებლობაში.

მარქსი და სოციოლოგია. მარქსი არ იყო სოციოლოგი და არც თვლიდა თავს სოციოლოგად. მისი მოძღვრება ძალზე ყოვლისმომცველია რომ მას მხოლოდ სოციოლოგია დაერქვას. მარქსის შრომებში ჩვენ ვხვდებით სოციოლოგიურ თეორიასაც, რომლის იდეებს ბევრი გამოეხმაურა, შეიმჩნეოდა ინტერესი სოციოლოგიის მარქსისეული პრობლემებისადმი, განსაკუთრებით ევროპაში.

მაგრამ ადრინდელ სოციოლოგიაში მარქსის თეორია ნეგატიურ რეაქციას იწვევდა, რაც საფუძვლად დაედო მათ მიერ თავიანთი სოციოლოგიური თეორიების შექმნას. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მარქსის თეორიისადმი, განსაკუთრებით ამერიკაში, იგრძნობოდა მტრული დამოკიდებულება ან სულაც



იგნორირებული იყო. როგორც მეორე თავში ვნახავთ, დროთა განმავლობაში ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა, ერთი რამ ცხადია, მარქსის შრომებზე ნეგატიური რეაქცია მრავალი სოციოლოგიური თეორიის წარმოშობის მთავარი ძალაა.

მარქსის მიუღებლობის ძირითადი მიზეზი იდეოლოგიურია. მრავალი ადრინდელი სოციოლოგი - თეორეტიკოსები იყვნენ განმანათლებლობის ეპოქისა და საფრანგეთის რევოლუციის შედეგებისა და მათზევე კონსერვატიული რეაქციის მემკვიდრეები. მარქსის რადიკალური იდეები, ასევე რადიკალური სოციალური ცვლილებების წინასწარმეტყველება, მეტიც, მათი განხორციელების მცდელობები აშინებდა ბევრ მათგანს და სიძულვილს იწვევდა. მარქსს უკვე აღარ აღიქვამენ, როგორც იდეოლოგს. ჩათვალეს, რომ ის არ იყო სერიოზული თეორეტიკოს - სოციოლოგი. მაგრამ სოციოლოგია თავისთავად ვერ გახდებოდა მარქსის მიუღებლობის ნამდვილი მიზეზი, რადგან კონტის, დურკჰემის და სხვა კონსერვატიულ მოაზროვნებს ასევე ვერ დაბრალდებათ იდეოლოგიურობა. სწორედ იდეოლოგიის ბუნება და არა სოციოლოგია, როგორც ასეთი, დაედო საფუძვლად მრავალი სოციოლოგ - თეორეტიკოსის შეხედულებების მიუღებლობას. ისინი მზად იყვნენ და სურდათ კიდეც შეეძინათ კონსერვატიული იდეოლოგია სოციოლოგიური თეორიის ნაცვლად, მაგრამ არა მარქსისა ან მისი მიმდევრების მიერ შემოთავაზებული რადიკალური იდეოლოგია.

იყო, რა თქმა უნდა, სხვა მიზეზებიც, რომელთა გამო ადრინდელმა სოციოლოგებმა არ მიიღეს მარქსი.

მარქსს უფრო აღიქვამდნენ ეკონომისტად, ვიდრე სოციოლოგად. ადრინდელი სოციოლოგები აღიარებდნენ ეკონომიკის მნიშვნელობას, მაგრამ ის მაინც მიაჩნდათ სოციალური ცხოვრების მხოლოდ ერთ კომპონენტად.

მარქსის თავდაპირველი მიუღებლობის მეორე მიზეზი იყო მარქსის ინტერესები. ადრინდელი სოციოლოგები აქტიურად ეხმაურებოდნენ განმანათლებლობის ეპოქის ცვლილებებს, საფრანგეთის რევოლუციას და მის შედეგებს, მოგვიანებით კი სამრეწველო გადატრიალებას, მარქსი კი საკმაოდ მშვიდად უყურებდა ამ მოვლენებს. პირიქით, ის რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა მარქსს იყო კაპიტალისტური სისტემის მჩაგვრელური ხასიათი, რაც თავისი ფესვებით მიდიოდა სამრეწველო გადატრიალებებში. მარქსს სურდა შეექმნა თეორია, რომელიც ნათელს გახდიდა კაპიტალიზმის ამ ხასიათს და ამ სისტემის დანგრევას შეუწყობდა ხელს. მარქსს აინტერესებდა რევოლუცია, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კონსერვატორების დამოკიდებულებას რეფორმებისა და თანმიმდევრული ცვლილებებისადმი.

სხვა სხვაობა არაა საინტერესო - ეს იყო მარქსისა და კონსერვატიული სოციოლოგების ფილოსოფიური საფუძვლები. კონსერვატიული სოციოლოგები განიცდიდნენ ი.კანტის დიდ გავლენას, რაც განაპირობებდა მათი აზროვნების შეზღუდულობას, ისინი ოპერირებდნენ მიზეზ_შედეგობრივი კატეგორიებით. ეს ნიშნავს, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ნებისმიერი ცვლილება (მაგალითად, შეხედულებების ცვლილება განმანათლებლობის ეპოქაში) იწვევს შემდგომ ცვლილებებს (ვთქვათ, პოლიტიკურ ცვლილებებს საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში). ამის საწინააღმდეგოდ კ.მარქსი, როგორც ვნახეთ, უფრო ჰეგელის გავლენის ქვეშა, რომელიც დიალექტიკურად უფრო აზროვნებდა, ვიდრე მიზეზ - შედეგობრივი კატეგორიებით. გარდა ამისა, დიალექტიკა ჩვენ განგვაწყობს საზოგადოებრივი ძალების



მუდმივ ურთიერთქმედებებზე. ე.ი. დიალექტიკოსი ზემოთმოყვანილ მაგალითს განიხილავს, როგორც იდეისა და პოლიტიკის უწყვეტ ურთიერთქმედებას.

მარქსის თეორია. მარტივად რომ ვთქვათ, მარქსმა შემოგვთავაზა კაპიტალისტური საზოგადოების თეორია, რომელიც ეფუძნება ადამიანის ბუნების მარქსისეულ ხედვას. მარქსი თვლიდა, რომ ადამიანები თავიანთი არსებით მწარმოებლები არიან: ეს ნიშნავს, რომ თვითგადარჩენისათვის შრომის აუცილებლობა ჩადებულია ადამიანის ბუნებასა და ხასიათში. ამგვარი ქმედებით ადამიანი ქმნის საკვებს, სამოსს, შრომის იარაღს, საცხოვრებელს და ყოფისათვის სხვა აუცილებელ ნივთებს. მწარმოებლურობა ადამიანის შემოქმედობითობის გამოვლენის სავსებით ბუნებრივი საშუალებაა. მეტიც, ამ შემოქმედობითობას ადამიანები ავლენენ ერთად, ურთიერთკავშირში, ე.ი. ადამიანი თავიდანვე საზოგადოებრივი არსებაა. ისინი არსებობისათვის აუცილებლის საწარმოებლად აუცილებლად ერთად იღწვიან.

ისტორიის განმავლობაში წარმოების ეს ბუნებრივი პროცესი ფერხდებოდა, ჯერ პირველყოფილი საზოგადოების მათხოვრული საარსებო პირობებით, შემდეგ საზოგადოების მიერ შექმნილი სხვადასხვა სტრუქტურული ფორმირებებით. ეს სტრუქტურები ყველანაირად უშლიდნენ ხელს წარმოების ბუნებრივ პროცესს. მაგრამ მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელიც მათ ანგრევს, ეს პრობლემა განსაკუთრებით იჩენს თავს; კაპიტალიზმში წარმოების პროცესის ბუნებრიობის რღვევა აღწევს თავის კულმინაციას.

ძირითადში კაპიტალიზმი არის სტრუქტურა (უფრო ზუსტად, სტრუქტურათა სერია), რომელმაც აღმართა ბარიერი ინდივიდსა და სამრეწველო პროცესს, მის პროდუქტებსა (რეზულტატებს) და სხვა ადამიანებს შორის: საბოლოო ჯამში მან თვით ივდივიდებიც კი განაცალკევა. ესაა გაუცხოების ცნების

ძირითადი მნიშვნელობა: ბუნებრივი კავშირების გაწყვეტა ადამიანებს შორის და ასევე, ადამიანებსა და მათ ნაწარმს შორის. გაუცხოებაშედეგია კაპიტალიზმის ორკლასიან სისტემად გადაქცევისა, სადაც რამოდენიმე კაპიტალისტი ფლობს საწარმოო პროცესს, პროდუქტს და მათი შემქმნელის სამუშაო დროს. ბუნებრივი ე.ი. საკუთარი თავისათვის წარმოების ნაცვლად საზოგადოებაში ადამიანები პროდუქტებს აწარმოებენ კაპიტალისტთა მცირე ჯგუფისათვის, რაც არაბუნებრივია. მოაზროვნე ადამიანის პოზიციით მარქსს აინტერესებდა კაპიტალიზმის სტრუქტურები და მათი დამთრგუნავი გავლენა შემსრულებლებზე. პოლიტიკური თვალსაზრისით კი მარქსს აინტერესებს ადამიანების განთავისუფლება კაპიტალიზმის დამთრგუნავი სტრუქტურებისაგან.

შესაძლებელ უტოპიურ სოციალისტურ საზოგადოებებზე ოცნებების ნაცვლად მარქსს უფრო აინტერესებდა ხელი შეეწყო კაპიტალიზმის დაღუპვისათვის. მას სჯეროდა, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგობები და კონფლიქტები დიალექტიკურად მიიყვანდნენ მას დაღუპვამდე, მაგრამ არ უფიქრია ამ პროცესის გარდუვალობის შესახებ. სოციალიზმის გაჩენისათვის ადამიანებმა საჭირო დროს უნდა იმოქმედონ გარკვეული საშუალებებით. კაპიტალისტებს დიდი რესურსები გააჩნიათ სოციალიზმის დადგომის შესაფერხებლად, მაგრამ მათი ქმედებები შეიძლება გადათელონ პროლეტარიატის შეთანხმებულმა ქმედებებმა. რას ქმნის პროლეტარიატი ამ პროცესის მსვლელობაში? რა არის სოციალიზმი? ძალზე ზოგადად, ეს არის საზოგადოება, რომელშიც ადამიანები, მარქსის მიხედვით, პირველად მიუახლოვდებიან ეფექტურ წარმოებაზე იდეალურ წარმოდგენას. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ხალხი შესძლებს ბუნებასთან და ერთმანეთთან ჰარმონიული



ურთიერთობების დამყარებას და შექმნიან არსებობისათვის აუცილებელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანები აღარ იქნებან გაუცხოებულად ბუნებისა და ერთმანეთისაგან.

მაქს ვებერისა (1864-1920) და გეორგ ზიმელის (1858-1918) მოძღვრების ბუნება და ფუსვები.

რამდენადაც XIX-XX სს. მიჯნაზე მარქსი და მისი მიმდევრები აღმოჩნდნენ გერმანული სოციოლოგის ძირითადი მიმართულებების გარეთ, ამდენად გერმანული სოციოლოგია შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც მარქსიზმის ოპოზიცია.

ვებერი და მარქსი. ალბერტ სოლომონმა განაცხადა, რომ უდიდესი მოაზროვნის, ადრინდელი გერმანული სოციოლოგის წარმომადგენლის მაქს ვებერის თეორიის დიდი ნაწილი ვითარდებოდა

„მარქსის სულთან ხანგრძლივ და დაძაბულ დებატებში“. შეიძლება ეს გაზვიადებაა, მაგრამ ცხადია, რომ მარქსის სულთან ხანგრძლივ და დაძაბულ დებატებში”. შეიძლება ეს გაზვიადებაა, მაგრამ ცხადია, რომ მარქსისი თეორიას ნეგატიური ადგილი უკავია ვებერის მოძღვრებაში. მაგრამ, მეორე მხრივ, ვებერი მუშაობდა მარქსისტული ტრადიციებით და ცდილობდა შეეცვი მარქსის თეორია. ასევე, ვებერის თეორიაში ბლომადაა ამოსავალი დებულებები, რომლებიც მარქსს ეკუთვნოდა . ჩვენ შეგვიძლია სინათლე მოვფინოთ გერმანული სოციოლოგის წყაროებს, ზოგადად შემოვხაზოთ მარქსისა და ვებერის ურთიერთობების შესახებ ყველა თვალსაზრისი. უნდა შევნიშნოთ, რომ ვებერი არ იცნობდა მარქსის ყველა შრომას (ბევრი მათგანი ვებერის სიცოცხლეში არ იყო გამოქვეყნებული) და წინააღმდეგი იყო უფრო მეტად მარქსისტებისა და არა თვით მარქსის შემოქმედებისა .

ვებერი მარქსსა და მისი დროის მარქსისტებს განიხილავდა, როგორც ეკონომიკური დეტერმინიზმის მიმდევებს, სადაც სოციალური ცხოვრება ცალმხრივადაა განხილული. ამგვარად, მარქსი აღიქმებოდა, როგორც ეკონომიკის საფუძველზე ისტორიული გამოკვლევების ავტორი, სადაც ყველა თანამედროვე

სტრუქტურა ეკონომიკაზეა დაფუძნებული. მარქსის თეორიის მიმართ ეს არ არის სწორი, თუმცა ბევრი მარქსისტის პოზიცია ასეთია.

ეკონომიკური დეტერმინიზმის თეორიაში ვებერის ყურადღება, სხვაზე მეტად, მიიპყრო იმ შეხედულებამ, რომ იდეები არსებითად არიან მატერიალური (განსაკუთრებით ეკონომიკური) ინტერესების მარტივი ასახვა, რომ მატერიალური ინტერესები განსაზღვრავენ იდეოლოგიას. ამ თვალსაზრისით უნდა ჩაითვალოს, რომ ვებერმა „მარქსი ფეხზე დააყენა“ (ისევე როგორც მარქსმა გადმოაბრუნა ჰეგელი). ნაცვლად იმისა, რომ ყურადღება მიექცია ეკონომიკურ ფაქტორებზე და იდეებზე მათი გავლენისათვის, ვებერმა დიდი ყურადღება დაუთმო მათ გავლენას ეკონომიკაზე. განიხილავდა რა იდეებს უფრო როგორც ეკონომიკური ფაქტორების მარტივ ასახვას, ვებერს ისინი მიაჩნია საკმაოდ ავტონომიურ ძალებად, რომელთაც შეუძლიათ ეკონომიკაზე ძლიერი ზემოქმედება. დიდ მნიშვნელობას ვებერი ანიჭებდა რელიგიური იდეების სისტემას. კერძოდ, მას აინტერესებდა ამ იდეების გავლენა ეკონომიკაზე. ნაშრომში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ ის ეხება პროტესტანტიზმს ძირითადად, როგორც იდეათა სისტემას და მის გავლენას იდეათა სხვა სისტემების აღმოცენებაზე, „კაპიტალიზმის სულის“, და საბოლოო ჯამში, კაპიტალიზმის ეკონომიკური სისტემის. ასეთსავე ინტერესს ავლენს ვებერი სხვა მსოფლიო რელიგიების მიმართ, სწავლობს თუ როგორ შეეძლო მათ ბუნებას



ხელი შეეშალა კაპიტალიზმის აღმოცენებაზე შესაბამის საზოგადოებებში. ამგვარი ფაქტორების საფუძველზე ზოგიერთი მეცნიერები აკეთებენ დასკვნას, რომ ვებერი თავის იდეებს ხვეწს მარქსის იდეებთან ოპოზიციაში.

სხვა თვალსაზრისი მარქსისა დე ვებერის ურთიერთობაზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, მდგომარეობს იმაში, რომ ვებერი არა იმდენად მარქსის ოპონენტია, რამდენადაც ცდილობდა შეევსო მისი თეორიული განაზრებები. მოცემულ შემთხვევაში ვებერი უფრო მისდევს მარქსის ტრადიციებს ვიდრე გვთავაზობს მის არსებითად საწინააღმდეგოს. რელიგიის სფეროში ამ კუთხით გაგებული მისი შრომები უბრალოდ იყო მცდელობა ეჩვენებინა, რომ არა მხოლოდ მატერიალური ფაქტორები განაპირობებენ იდეებს, არამედ თვით იდეებიც ზემოქმედებენ მატერიალურ სტრუქტურებზე.

სტრატიფიკაციის თეორიაში ჩვენ ვნახავთ ამ თვალსაზრისის კარგ მაგალითს, თუ ვებერი როგორ

„ავსებს“ მარქსის თეორიას. სტრატიფიკაციისადმი მიძღვნილ ნაშრომში მარქსი აქცენტს აკეთებს

„კლასზე“ სტრატიფიკაციის ეკონომიკურ განზომილებაზე. ვებერი, თუმცა კი, აღიარებს ამ ფაქტორის მნიშვნელობას, ის ამტკიცებს, რომ სტრატიფიკაციის სხვა განზომილებები ასევე მნიშვნელოვანია. მან განაცხადა, რომ საჭიროა გავაფართოვოთ შეხედულებები სოციალურ სტრატიფიკაციაზე, ჩავრთოთ მასში ისეთი პარამეტრები როგორიცაა პრესტიჟი (სტატუსი) და ძალაუფლება. ამ დამატებითი პარამეტრების ჩართვა არ ეწინააღმდეგება მარქსის შეხედულებებს უბრალოდ აფართოებს მათ.

მოყვანილი ორივე თვალსაზრისის თანახმად მარქსის თეორია მნიშვნელოვანია ვებერისათვის. სიმართლის ელემენტები ორივე პოზიციაშია: რიგ საკითხებში ვებერი არ ეთანხმებოდა მარქსს, მაშინ როდესაც, მის სხვა იდეებს ვებერი ანვითარებს და ავსებს.

ამ პარაგრაფში მოყვანილი მესამე თვალსაზრისი საუკეთესოდ ახასიათებს მარქსისა და ვებერს შორის მიმართებას. რომლის თანახმად ვებერის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა მარქსის გავლენის ქვეშ და ასევე სხვა მოაზროვნების გავლენითაც.

სხვა გავლენა ვებერზე. ჩვენ შეგვიძლია ამოვიცნოთ ვებერის თეორიის წყაროები, გერმანელი ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, ეკონომისტების და პოლიტიკური თეორეტიკოსების განხილვით. მათ შორის ვისაც ვებერზე ქონდა გავლენა განსაკუთრებით გამოკვეთილია ფილოსოფოსი ი.კანტი (1724-1804). მაგრამ ჩვენ ვერ დავხუჭავთ თვალს იმაზე, რაც ფ.ნიცშეს (1844-1900) ეკუთვნის ვებერის შემოქმედებაში, სადაც ხაზგასმულია, რომ ინდივიდი აუცილებლად უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბიუროკრატიასა და თანამედროვე საზოგადოების სხვა სტრუქტურების გავლენას.

მარქსიზმსა და გერმანულ სოციოლოგიას განსხვავებული ისტორიული ფესვები აქვთ. როგორც უკვე ითქვა ჰეგელმა და არა კანტმა მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა მარქსის თეორიულ შეხედულებებზე. ჰეგელის ფილოსოფია აიძულებდა მარქსსა და მარქსისტებს ეზებნათ კავშირები, კონფლიქტები და წინააღმდეგობები, კანტის ფილოსოფია კი, ყოველ შემთხვევაში, გერმანელ სოციოლოგებს აყენებდა უფრო სტატიკურ პერსპექტივებზე დაყრდნობის აუცილებლობის წინაშე. კანტის მიხედვით სამყარო მოვლენათა მოუწესრიგებელი მთლიანობაა, რომელთა უშუალოდ შემეცნება, გაგება შეუძლებელია. სამყარო



შეიმეცნება აზროვნებით, რომელიც გაფილტრავს, შეარჩევს, დაანაწილებს ამ მოვლენებს. კანტი განასხვავებდა რეალური სამყაროს შინაარსს იმ ფორმებისაგან, რომელთა საშუალებით შესაძლებელია მისი წვდომა. ამ ფორმების ხაზგასმა კანტის ტრადიციების მიმდევარი სოციოლოგებს ანიჭებდა უფრო სტატიკურ ხასიათს მარქსისტებთან შედარებით, რომლებიც ჰეგელის ტრადიციებს მისდევდნენ.

ვებერის თეორია

თუ კ.მარქსის ძირითად დამსახურებად ითვლება კაპიტალიზმის თეორია, ვებერის ნაშრომებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რაციონალიზაციის პროცესის თეორია. ვებერს აინტერესებდა კითხვა, რატომაა, რომ დასავლური ინსტიტუტები თანდათანობით გადაიქცნენ უფრო რაციონალურებად, მაშინ, როდესაც ძალისმიერი სტრუქტურების მიერ შექმნილი ძლიერი ბარიერები თითქოსდა გამორიცხავდნენ ასეთ პერსპექტივას.

თუმცა რაციონალობის ცნება ვებერის შრომებში გამოიყენება განსხვავებულად, ჩვენთვის საინტერესოა პროცესი, ერთ-ერთი იმ ოთხთაგან, რომელიც გამოყო კალბერგმა და უწოდა ფორმალური რაციონალობა. ფორმალურ რაციონალობას ახასიათებს ყურადღება მოქმედი პირისადმი, რომელიც ირჩევს მიზნისა და შედეგის მიღწევის საშუალებებს. ამ შემთხვევაში არჩევანი კეთდება ჩვევების, წესების, ინსტრუქციებისა და კანონების შესაბამისად. ისინი, თავის მხრივ, დგინდება სხვადასხვა მსხვილმაშტაბიანი სტრუქტურების, განსაკუთრებით ბიუროკრატიისა და ეკონომიკის მიერ. ვებერი თავის თეორიას აგებდა დიდი რაოდენობის - დასავლეთის, ჩინეთის, ინდოეთის და დედამიწის სხვა რეგიონების შედარებითი გამოკვლევების კონტექსტში. ამ გამოკვლევებში ის ცდილობდა იმ ფაქტორების აღწერას, რომლებიც ხელს უწყობდნენ ან ეხმარებოდნენ რაციონალიზაციას (ისინი შეიძლება იყვნენ მიზეზები ან, პირიქით, დაბრკოლებები).

ვებერი განიხილავს ბიუროკრატიას (და ბიუროკრატიზაციის ისტორიულ პროცესს), როგორც რაციონალიზაციის კლასიკურ მაგალითს, მაგრამ დღეს რაციონალიზაციას, ალბათ სხვაზე მეტად გამოხატავს სწრაფი კვების რესტორნები, რომლებიც წარმოადგენენ ფორმალურ_რაციონალურ სისტემას, სადაც ადამიანები (როგორც პერსონალი, ასევე მომხმარებელი) იძულებულნი არიან მიზნის მისაღწევად ეძიონ ყველაზე რაციონალური საშუალებები. მისაღები ფანჯარა მაგალითად, არის რაციონალური საშუალება, რომლის დახმარებითაც პერსონალი არიგებს საკვებს, ხოლო კლიენტები ღებულობენ. ასეთი სისტემის სისწრაფე და პროდუქტიულობა ნაკარნახევია სწრაფი კვების რესტორნის

ძირითადი პრინციპებით, ასევე იმ წესებითა და ინსტრუქციებით, რომელთა შესაბამისად ისინი მოქმედებენ.

ბიუროკრატიის პროცესს ვებერი განიხილავს პოლიტიკური ინსტიტუტების ე.ი. უფრო ფართო საკითხის ჩარჩოებში. ის განსხვავებს ძალაუფლების სისტემის სამ ტიპს: ტრადიციულს, ქარიზმატულს და რაციონალურ - ლეგალურს. მხოლოდ თანამედროვე დასავლეთის სამყაროში შეიძლება განვითარდეს ძალაუფლების რაციონალურ - ლეგალური სისტემა და მხოლოდ ამ სისტემის შიგნითაა შესაძლებელი თანამედროვე ბიუროკრატიის სრული მაშტაბით განვითარება. დანარჩენ სამყაროში დომინირებს ტრადიციული და ქარიზმატული ძალაუფლების სისტემა, რომელიც ძირითადად ეწინააღმდეგება ძალაუფლების რაციონალურ - ლეგალური სისტემისა და თანამედროვე ბიუროკრატიის განვითარებას.



მაშასადამე, ტრადიციული ძალაუფლების ფესვები მოდიან საუკუნეების სიღრმეებიდან, დარწმუნების ხანგრძლივად არსებული სისტემის წყალობით. მაგალითად შეიძლება ავიღოთ ლიდერი, რომელიც მოვიდა ძალაუფლების სათავეში, რადგან ის და მისი ოჯახი, ან გვარი ყოველთვის იყვნენ უზრუნველყოფილნი ლიდერობით ანუ ყოველთვის იყვნენ რაიმე დონის ლიდერები. ქარიზმატული ლიდერი ხელში იგდებს ძალაუფლებას თავისი ექსტრაორდინარული უნარების წყალობით, სპეციფიკური მახასიათებლებით ან უფრო ალბათურია, მიმდევრების რწმენით, რომ მას აქვს აღნიშნული თვისებები. ძალაუფლების ეს ორი ტიპი ისტორიულად მნიშვნელოვანია, მაგრამ ვებერი თვლის, რომ დასავლეთში და დედამიწის სხვა კუთხეშიც შეიმჩნევა რაციონალურ_ლეგალური ძალაუფლების განვითარების ტენდენცია. მოცემულ სისტემებში ძალაუფლება მკვიდრდება ლეგალურად და რაციონალურად დადგენილი წესებით. ამგვარად აშშ პრეზიდენტის ძალაუფლებას, საბოლოო ჯამში, კარნახობს საზოგადოების კანონები. რაციონალურ - ლეგალური ძალაუფლებისა და მისი თანმდევი ბიუროკრატიის ევოლუცია - მხოლოდ ნაწილია ვებერის არგუმენტებისა დასავლეთის სამყაროს რაციონალიზაციის საილუსტრაციოდ.

ვებერი ასევე აანალიზებს რაციონალიზაციის ისეთ ფენომენებს, როგორებიცაა რელიგია, კანონი, ქალაქი და მუსიკაც კი. შეგვიძლია ჩავატაროთ ვებერის აზროვნების სტილის ილუსტრირება ეკონომიკის ინსტიტუტის რაციონალიზაციის მაგალითზე. რაციონალობის ამ ტიპს ვებერი განიხილავს რელიგიისა და კაპიტალიზმის ურთიერთობის პარალელურად. ფართომასშტაბიანი ისტორიული გამოკვლევებით ვებერი ცდილობდა გაეგო თუ რატომ ვრცელდება დასავლეთში რაციონალური ეკონომიკური სისტემა (კაპიტლიზმი) და რატომა ის წარუმატებელი დედამიწის სხვა კუთხეებში. ამ პროცესში ცენტრალურ ადგილს ვებერი ანიჭებს რელიგიას. მარქსიზმთან თანასწორ დიალოგში ის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რელიგია არ არის მხოლოდ ეპიფენომენი, როგორც თვლიდა იმ პერიოდის მარქსისტების უმრავლესობა. პირიქით, მან დასავლეთში, კაპიტალიზმის განვითარებაში შეასრულა გადამწყვეტი როლი და ამასვე ადასტურებს მისი წარუმატებლობა სხვაგან. ვებერი ამტკიცებდა, რომ სწორედ არაჩვეულებრივმა რაციონალურმა რელიგიურმა სისტემამ (კალვინიზმი) შეასრულა მთავარი როლი დასავლეთის კაპიტალიზმის წარმატებაში. მის საწინააღმდეგოდ, დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში, რომლებიც ვებერმა შეისწავლა, მან აღმოაჩინა ირაციონალური რელიგიური სისტემები (კონფუციანელობა, დაოზმი, ინდუიზმი) რომლებიც აბრკოლებდნენ რაციონალური ეკონომიკური სისტემის განვითარებას. ამავე დროს ჩნდება შეგრძნება, რომ ეს რელიგიები დროებით ბარიერებს ქმნიან: რაც შეეხება მთელი სოციალური სტრუქტურის ეკონომიკურ სისტემას ისინი საბოლოო ჯამში რაციონალიზირებულ იქნებიან.

თუმცა რაციონალიზაციას ვებერის თეორიაში ცენტრალური ადგილი უკავია, ის ვერ ამოწურავს ვებერის თეორიის სრულ შინაარსს. ერთ პარაგრაფში შეუძლებელია სრულად დაალაგო მისი თეორიული შეხედულებები. ამიტომ ჯობს დავუბრუნდეთ სოციოლოგიური თეორიის გნვითარებას. ფუნდამენტურ საკითხად, ამ შემთხვევაში გვეძლევა: რატომ მოხდა, რომ გვიანდელი სოციოლოგებისათვის ვებერის თეორია უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა ვიდრე მარქსის თეორია?

ვებერის თეორიის მიღება. ერთ - ერთი მიზეზი ისაა, რომ გვიანდელი თეორეტიკოსი - სოციოლოგებისათვის ვებერი აღმოჩნდა პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელი. ნაცვლად იმისა, რომ ეღიარებინა მარქსის რადიკალიზმი, ვებერი ერთ საკითხში ლიბერალიზმისაკენ იხრებოდა, მეორეში კი კონსერვატორია (მაგალითად, სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით). თუმცა ის მკაცრად



აკრიტიკებს თანამედროვე კაპიტალიზმის მრავალ მხარეს და მივიდა იმავე კრიტიკულ დასკვნებამდე, რაც ქონდა მარქსს, ვებერი არ იყო ერთადერთი ვინც თავაზობდა პრობლემის რადიკალურ გადაჭრას. სინამდვილეში ის გრძნობდა, რომ მარქსისტებისა და სხვა სოციალისტების მიერ შემოთავაზებული რფორმები უფრო დააშავებდნენ, ვიდრე დადებით შედეგს გამოიღებდნენ.

მოგვიანებით თეორეტიკოსი-სოციოლოგები, განსაკუთრებით ამერიკელები, საზოგადოებას განიხილავდნენ მარქსის თეორიის მტრული კრიტიკის კუთხით. თავიანთი მსოფლმხედველობით კონსერვატორები, ისინი ეძებდნენ მარქსის თეორიის ალტერნატივას. ერთ_ერთი ვინც მათი ყურადღება მიიქცა იყო მაქს ვებერი (სხვებს შორის დავასახელებთ დიურკემს და ვილფრედო პარეტოს). ოლოს და ბოლოს, რაციონალიზაცია ეხება არა მხოლოდ კაპიტალისტურს, სოციალისტურ საზოგადოებასაც. სინამდვილეში, ვებერის აზრით, რაციონალიზაცია უფრო მეტი პრობლემა იყო სოციალისტური საზოგადოებისათვის, ვიდრე კაპიტალისტურისათვის.

ვებერი საკმაოდ მკაცრად ეკიდებოდა საკუთარი მსჯელობების ფორმას. ცხოვრების დიდი ნაწილი ის დეტალური ისტორიული გამოკვლევებითაა დაკავებული და მისი პოლიტიკური დასკვნები, უმეტეს შემთხვევაში, კეთდება მისი გამოკვლევების კონტექსტში. ჩვეულებრივ ისინი მკაცრად მეცნიერულად და აკადემიურად არიან დალაგებული. მარქსმაც ჩაატარა სერიოზული გამოკვლევების დიდი რაოდენობა მაგრამ დაგვიტოვა ბევრი სადაცო დასკვნა. მაგალითად, „კაპიტალში“ (1867|1967) ის აღწერს კაპიტალისტებს, როგორც „ვამპირებს“ და „მოქნილებს“. ვებერის აკადემიური სტილი უფრო მისაღებია გვიანდელი სოციოლოგებისათვის.

მეორე მიზეზი ის არის, რომ აღქმისათვის ვებერი აღმოჩნდა ადვილი, რადგან ფილოსოფიური ტრადიცია, რომელსაც ის იცავდა და მისდევდა კეთილსასურველი იყო გვიანდელი სოციოლოგებისათვის. საქმე იმაშია, რომ ვებერი მოქმედებდა კანტის ტრადიციებში, ეს კი, როგორც უკვე ვიცით ნიშნავს, რომ ის აზროვნებდა მიზეზ-შედეგობრივი კატეგორიებით. აზროვნების ეს ტიპი უფრო მისაღები აღმოჩნდა გვიანდელი სოციოლოგებისათვის, რომლებიც უმეტესწილად არც იცნობდნენ და ვერც კმაყოფილდებოდნენ იმ დიალექტიკური ლოგიკით, რომელიც საფუძვლად უდევს მარქსის შრომებს.

და ბოლოს, ვებერი უფრო ფართოდ განიხილავს სოციალურ სამყაროს, ვიდრე მარქსი. თუ მარქსი ძირითადში ეკონომიკითაა დაკავებული, ვებერს აინტერესებს სოციალური ფენომენების ფართო სპექტრი. აქცენტების ამ განსხვავებამ, როგორც აღმოჩნდა, უფრო მეტი სამოღვაწეო ასპარეზი შეუქმნა გვიანდელ სოციოლოგებს, ვიდრე მარქსის კონკრეტული მიმართულების ინტერესებმა.

ნაშრომების უმრავლესობას ვებერი აქვეყნებს XIXს. დასასრულსა და XXს. დასაწყისისათვის. პროფესიონალური თვალსაზრისით ვებერი თავიდან არის ისტორიკოსი, რომელსაც აინტერესებს სოციოლოგიის პრობლემები, 1900-იან წლებში მისი ინტერესების ცენტრს თანდათანობით ეუფლება სოციოლოგია. სინამდვილეში ის გახდა გერმანიის წამყვანი სოციოლოგი. 1910 წელს მან დაარსა (სხვებს შორის იყო გეორგ ზიმელიც, რომელსაც ქვემოთ შევეხებით) გერმანიის სოციოლოგიური საზოგადოება (German Sociological Society). მისი სახლი ჰაიდელბერგში იყო ინტელექტუალების და არა მხოლოდ სოციოლოგების, არამედ სხვადასხვა სფეროში მოღვაწეთა ცენტრი. მისი შრომები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ გერმანიაში, მაგრამ აშშ მათ მეტი გავლენა ქონდათ, განსაკუთრებით მას მერე რაც ტალკოტ პარსონსმა ვებერის (ასევე სხვა თეორეტიკოსების, მაგალითად, დიურკემის) იდეები



წარუდგინა ამერიკელთა ფართო აუდიტორიას. XXს-ის 60-იან წლებამდე მარქსის იდეებს არ ქონდა მნიშვნელოვანი პოზიციური გავლენა ამერიკელ თეორეტიკოს_სოციოლოგებზე, ვებერის იდეებმა კი უკვე 30-იანი წლებიდან დაიპყრო ამერიკელთა გონიერა.

გეორგ ზიმელის თეორია. გეორგ ზიმელი იყო ვებერის თანამედროვე და გერმანიის სოციოლოგიური საზოგადოების თანადამარსებელი. ის იყო ტიპიური თეორეტიკოს - სოციოლოგი. რადგან მარქსი და ვებერი წლების განმავლობაში იგნორირებული იყო აშშ, გეორგ ზიმელმა მოახდინა უშუალო და ღრმა გავლენა ამერიკულ სოციოლოგიური აზრის განვითარებაზე. ზიმელის შრომებმა ხელი შეუწყო ამერიკელი სოციოლოგიის ერთ_ერთი პირველი ცენტრის დაარსებას ჩიკაგოს უნივერსიტეტში, მისი მთავარი თემის სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიის ჩამოყალიბებას. ჩიკაგოს სიმბოლური ინტერაქციონიზმის სკოლა ბატონობდა აშშ სოციოლოგიაში 1920 დან 1930-იანი წლების დასაწყისში. ზიმელის შეხედულებები ძალზე პოპულარული იყო ჩიკაგოში. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ჩიკაგოს სკოლის ადრინდელი წლების მთავარმა წარმომადგენლებმა - ალბიონ სმოლმა და რობერტ პარკმა ზიმელის თეორია გაიცნეს გერმანიაში. პარკი ესწრებოდა ზიმელის ლექციებს 1899- 1900 წწ. ხოლო სმოლი მთელი 90-იანი წლები მიწერ-მოწერას აწარმოებდა ზიმელთან. მათ ჩიკაგოს უნივერსიტეტში თავიანთ სტუდენტებს გააცნეს ზიმელის იდეები, თარგმნეს მისი ზოგიერთი ნაშრომი და წარუდგინეს ამერიკის ფართო საზოგადოებას ზიმელის მოღვაწეობის მეორე არატიპიური ასპექტია ანალიზის მისეული „დონე“, ის დონე, რომლის წყალობითაც ის გახდა ცნობილი ამერიკაში. თუ მარქსი და ვებერი გართული იყვნენ დიდმასშტაბიანი საკითხებით, როგორებიცაა საზოგადოების რაციონალიზაცია და კაპიტალისტური ეკონომიკა, ზიმელი გახდა ცნობილი შედარებით მცირე მაშტაბის პრობლემების კვლევით, ვთქვათ, ინდივიდუალური ქმედებებისა და ურთიერთქმედებების კვლევით. ის გახდა პოპულარული კანტის ფილოსოფიისაგან გადმოღებული განაზრებებით ურთიერთქმედებების ფორმების შესახებ (მაგალითად, კონფლიქტები) და ურთიერთმოქმედი პიროვნებების (მაგალითად, „უცხო“) ტიპებით. ზიმელი თვლიდა, რომ ადამიანებს შორის ურთიერთქმედებების არსის გაგება არის სოციოლოგიის ერთ_ერთი ძირითადი ამოცანა. მაგრამ შეუძლებელია შესწავლილ იქნას სოციალურ ყოფაში ადამიანთა ურთიერთქმედებების უზარმაზარი რაოდენობა თუ არ არსებობს დახვეწილი ცნებითი ინსტრუმენტები. სხვა სიტყვებით, აუცილებელია იცოდე, თუ როგორ ჩნდება ურთიერთქმედების ფორმები და ურთიერთქმედებაში მყოფი პირების ტიპები. ზიმელი გამოყოფდა ურთიერთქმედების ფორმების შეზღუდულ რაოდენობას, რომლებიც გვხვდებიან სხვადასხვა სოციალურ გარემოში. ურთიერთქმედების ფორმებზე ინფორმაციის არსებობის შემდეგ შესაძლებელია გაანალიზებულ და გაგებულ იქნას განსხვავებული სოციალური გარემოს მნიშვნელობა ურთიერთქმედების პროცესისათვის. ურთიერთქმედების ტიპების შეზღუდული რაოდენობის განვითარება სასარგებლოა ქმედების განწყობის ასახსნელად. ამ ნაშრომმა დიდი გავლენა იქონია სიმბოლურ ინტერაქციონიზმზე, რომელიც, როგორც მისი სახელიდან ჩანს, ძირითადად ეხება ურთიერთქმედებას. ზიმელს ასევე აინტერესებდა უფრო გლობალური პრობლემები, ისეთები, როგორებიც მარქსისა და ვებერს აწუხებდა. მაგრამ ამ შრომებს ნაკლები მნიშვნელობა ქონდათ, ვიდრე მის შრომებს ურთიერთქმედებზე, თუმცა დღეისათვის შეიმჩნევა გარკვეული ინტერესების ზრდა ვებერის სოციოლოგიის მსხვილმაშტაბიან ასპექტებისადმი.

ზიმელი გახდა მისაღები და გასაგები ადრინდელი ამერიკელი თეორეტიკოსი _სოციოლოგებისათვის ურთიერთქმედებებზე შრომებით. სერიოზული მრავალტომიანი შრომების გარდა, როგორებსაც ვხვდებით მარქსისა და ვებერთან, ზიმელმა რიგი შრომები მიუძღვნა ცხოვრებისეულ თემებს, სიღარიბეს,



პროსტიტუციას, სიხარბეს, მფლანგველობას, უცხოობას. ამ ნარკვევების მცირე მოცულობამ და თემების მიმართ დიდმა ინტერესმა ხელი შეუწყო ზიმელის იდეების ფართოდ გავრცელებას, თუმცა მათ უარყოფითი გავლენაც იქონიეს, გარკვეულწილად დაჩრდილეს დიდი შრომები (მაგალითად, „ფულის ფილოსოფია”), სოციოლოგიისათვის უფრო მნიშვნელოვანი. უნდა ითქვა, რომ ზიმელის განაზრებებმა მეტი გავლენა იქონიეს ადრინდელ ამერიკულ სოციოლოგიურ თეორიაზე, ვიდრე მარქსმა და ვებერმა.

საჭიროა განსაკუთრებით შევჩერდეთ „ფულის ფილოსოფიაზე”. მისი თარგმნის შემდეგ ზიმელის შემოქმედებას მიაქცია ყურადღება თეორეტიკოსებმა, რომლებსაც აინტერესებდათ კულტურა და საზოგადოების პრობლემები. ამ ნაშრომში ჩანს ზიმელის მაკროორიენტაცია, თუმცა სხვა შრომებშიც შეიძლებოდა ამის შემჩნევა, მაგალითად შრომაში დიადისა და ტრიადის შესახებ. ზიმელი ვარაუდობს, რომ სოციოლოგიისათვის საინტერესო მოვლენებს ადგილი აქვს როდესაც ორადამიანი ჯგუფი (დიადა) გადაიცევა ტრიადად, როდესაც მას დაემატება მესამე მხარე, ჩაისახებიან ისეთი სოციალური შესაძლებლობები, რაც გამორიცხული იყო დიადაში. მაგალითად, ტრიადის ერთ-ერთმა წევრმა შეიძლება შესარულოს არბიტრის ან შუამავლის როლი დანარჩენი ორის უთანხმოების შემთხვევაში და რაც მნიშვნელოვანია, ორი შეიძლება გაერთიანდეს და დომინირებდეს მესამეზე. ეს არის მიკროზომებში იმის დემონსტრაცია, რასაც შეიძლება ადგილი ქონდეს მსხვილ სტრუქტურებში, რომლებიც გამოეყოფიან ინდივიდებს და მათზე იწყებს ბატონობას.

სწორედ ეს თემა დაედო საფუძვლად „ფულის ფილოსოფიას”. ზიმელს, პირველ რიგში, აინტერესებდა ფულის ეკონომიკის აღმოცენება თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც იზოლირებულია ინდივიდებისაგან და იწყებს მათზე ბატონობას. ეს თემა, თავის მხრივ, არის ნაწილი ზიმელის უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ნაშრომისა, რომელიც ეხება კულტურის ბატონობას ინდივიდზე. როგორც ზიმელი მიიჩნევს, რომ თანამედროვე სამყაროში კულტურა და მისი შემადგენელი სტრუქტურული ნაწილები (ფულადი ეკონომიკის ჩათვლით) სულ უფრო ფართოვდებიან და მათი განვითარების კვალობაზე მცირდება ინდივიდის ღირებულება. ამგვარად, მაგალითად, თუ თანამედროვე ეკონომიკასთან დაკავშირებული სამრეწველო ტექნოლოგიები ვითარდებიან და რთულდებიან, ცალკეული მშრომელის უნარი, ჩვევები და შესაძლებლობები თანდათანობით კარგავენ თავის მნიშვნელობას. ბოლოს და ბოლოს მშრომელი შეეჩება სამრეწველო მანქანას, რომელზეც მას შეუძლია განახორციელოს, უკეთეს შემთხვევაში, უმნიშვნელო კონტროლი. ზოგადად, ზიმელი ვარაუდობს, რომ თანამედროვე სამყაროში კულტურის შემდგომი განვითარებით ინდივიდის მნიშვნელობა შემცირდება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ზიმელის მემკვიდრეობაში სოციოლოგებისათვის მნიშვნელოვანია გამოკვლევები ურთიერთქმედებებსა და ურთიერთქმედებების ტიპებზე.

გეორგ ზიმელი. ბიოგრაფიული ნარკვევი. გეორგ ზიმელი დაიბადა 1858 წლის 1 მარტს ბერლინის ცენტრში. ბერლინის უნივერსიტეტში შეისწავლა დიდი რაოდენობის დისციპლინები. დისერტაციის დაწერაზე თავდაპირველად უარი ათემევინეს, მისმა ერთ-ერთმა მასწავლებელმა შენიშნა: „ჩვენ მას დიდ სამსახურს გავუწევთ თუ არ დავუჭრთ მხარს მის ამ გადაწყვეტილებას”. მიუხედავად ამისა ზიმელი კიუტად ანხორციელებს თავის გადაწყვეტილებას და 1881 წელს მიიღებს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს. ის 1914 წლამდე მასწავლებლად რჩება უნივერსიტეტში, 1885-1900 წწ. მხოლოდ პრივატ-დოცენტია. ის კითხულობდა ლექციებს, თუმცა ამაზე ხელფასს არ ღებულობდა, საარსებო საშუალებები



დამოკიდებული იყო სტუდენტთა გადასახადებზე. სიძნელეების მიუხედავად, აქ ზიმელს ქონდა წარმატებები, მირითადად იმიტომ, რომ იყო კარგი ლექტორი და იზიდავდა ფულის გადამხდელი სტუდენტების დიდ აუდიტორიას. მისი სტილი იმდენად პოპულარული იყო, რომ იზიდავდა ბერლინის განათლებულ საზოგადოებას, ყოველი ლექცია საზოგადოებრივი მოვლენა იყო.

ზიმელის არაორდინალურობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი მსჯელობები გარკვეული დოზით წინააღმდეგობრივები იყვნენ და ბევრი მსმენელი ჩიხში შეყავდა.

თუ ჩვენ შევადარებთ ნათესავების, მეგობრების, სტუდენტების მიერ ზიმელის დახასიათებას ვნახავთ რიგ ურთიერთსაპირისპირო აზრებს. ზოგიერთები ამბობენ, რომ ის იყო მაღალი, კარგი აგებულების, სხვები ამბობენ, რომ ის იყო ისეთი პატარა, რომ შეგეცოდებოდა. ამბობენ, რომ ის არ იყო მიმზიდველი, იყო ტიპიური ებრაელი, ამავე დროს ძალიან ინტელიგენტური და კეთილშობილი. ცნობილია, რომ იყო შრომისმოყვარე, ძალიან ცხადად შეეძლო თავისი აზრების გამოხატვა. და ბოლოს, ჩვენ ვიცით, რომ ის იყო ბრწყინვალე ინტელექტუალი კეთილგანწყობილი, მეგობრული, მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ იყო შინაგანად არარაციონალური, მოღუშული, ველური.

ზიმელმა დაწერა უამრავი სტატიები („მეტროპოლია და ფსიქიკური ცხოვრება“) და წიგნები („ფულის ფილოსოფია“). ის ცნობილია გერმანიის აკადემიურ წრეებში, საზღვარგარეთ მიმდევრებიც კი ყავს, განსაკუთრებით აშშ, სადაც მის ნაშრომებს ქონდათ დიდი მნიშვნელობა სოციოლოგიის განვითარებისათვის. 1900 წელს მან მიიღო აღიარება და ბერლინის უნივერსიტეტის საპატიო წოდება, თუმცა ეს არ იყო სრული აკადემიური სტატუსი. ზიმელი მიისწავლიდა მრავალი აკადემიური თანამდებობებისაკენ, მაგრამ წარუმატებლად, თუმცა მაქს ვებერი მას მხარს უჭერდა.

მისი წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზია მისი ებრაული ეროვნება, XIXს. გერმანიაში ბატონობდა ანტისემიტიზმი. განათლების სამინისტროში ზიმელზე დაწერილ მოხსენებაში ხაზგასმულია -

„შეხედულებით, ქცევით და აზრებით სრულყოფილი ისრაელელი“. მეორე მიზეზია სამუშაო, რომელსაც ის ასრულებდა. მრავალი სტატია გამოჩნდა გაზეთებსა და ჟურნალებში; ისინი დაწერილი იყვნენ უნივერსიტეტზე უფრო დიდი აუდიტორიისათვის. გარდა ამისა, რადგან ზიმელს უნივერსიტეტში არ ქონდა მუდმივი თანამდებობა ის კითხულობდა საჯარო ლექციებს. ზიმელის აუდიტორიას, როგორც მკითხველებს ასევე მსმენელებს შეადგენდა ინტელექტუალური საზოგადოება და არა პროფესიონალი სოციოლოგები. ყოველივე ამან პროფესიონალი კოლეგების მხრიდან გამოიწვია დამცინავი პოზიციები. მაგალითად, ერთ-ერთი თანამედროვე კიცხავს მას იმ „გავლენისათვის, რაც აისახა ზოგად ატმოსფეროზე და პირველ რიგში გავლენა იქონია ჟურნალისტიკის დონის ამაღლებაზე“. ზიმელის პირადი წარუმატებლობები დაკავშირებულია იმასთანაც, რომ იმ დროის გერმანელი აკადემიკოსები სოციოლოგიის მიმართ არ ავლენდნენ საჭირო პატივისცემას.

1914 წელს ზიმელმა ბოლოს და ბოლოს მიიღო მუდმივი აკადემიური თანამდებობა სტრასბურგში, მეორეხარისხოვან უნივერსიტეტში, თუმცა იქაც უცხოდ გრძნობდა თავს. ჯერ-ერთი, ნანობდა რომ მიატოვა ბერლინის ინტელექტუალების აუდიტორია. მისმა მეუღლემ მისწერა ვებერის მეუღლეს:

„გეორგიმ მძიმედ განიცადა აუდიტორიასთან განშორება, სტუდენტები იყვნენ ძალზე მოყვარული და თანაგრძნობით განმსჭვალული, ეს იყო განშორება სიცოცხლის ძალების სრული აყვავების დროს“. მეორე,



ზიმელი სტრასბურგის უნივერსიტეტში ვერ აქტიურობდა. ის წერს ვებერს: „ძალიან ცოტა რამეა ჩვენზე შესატყობინებელი, ჩვენ ვცხოვრობთ გამომწყვდეულად, განმარტოებულნი, გარე სამყაროს მოწყვეტილნი, აკადემიური აქტიურობა ნულის ტოლია, ხალხი უცხოა, შინაგანად მტრული”

სტრასბურგში გადასვლიდან მალე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი: სალექციო დარბაზები გადაკეთდა სამხედრო ჰოსპიტალად, სტუდენტები წაიყვანეს ომში. ასე რომ ზიმელი და მისი შრომები გერმანიაში დაფასდა მისი გარდაცვალების (1918) შემდეგ. მან ვერ გააკეთა ჩვეულებრივი აკადემიური კარიერა. მიუხედავად ყოველივესი, ზიმელს გაუჩნდა დიდი რაოდენობა მიმდევრებისა და მისი სახელი და ავტორიტეტი წლების გნმავლობაში იზრდებოდა.

ზიგმუნდ ფროიდი; ბიოგრაფიული ნარკევი. XIXს. დასასრულისა და XXს. დასაწყისის გერმანული სოციალური მეცნიერების მეორე წამყვანი ფიგურა არის ზიგმუნდ ფროიდი. ის არ იყო სოციოლოგი, მაგრამ გავლენა ქონდა ბევრ სოციოლოგზე (მაგალითად, ტალკოტ პარსონზე, ნორბერტ ელიაშვილები) და მისი იდეები დიდხანს ინარჩუნებდნენ აქტუალობას სოციალური თეორეტიკოსებისათვის

ზიგმუნდ ფროიდი დაიბადა 1856 წლის 6 მაისს ავსტრო - უნგრულ ქალაქ ფრაიბერგში . 1859 წ. ოჯახი გადადის საცხოვრებლად ვენაში და 1873 წელს ფროიდი შედის ვენის უნივერსიტეტთან არსებულ სამედიცინო სკოლაში. ფროიდს მედიცინაზე მეტად მეცნიერება აინტერესებს. და იწყებს მუშაობას ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში. ფროიდი იღებს დიპლომს, 1882 წელს ტოვებს ლაბორატორიას და იწყებს მუშაობას საავადმყოფოში, შემდეგ ეწევა კერძო სამედიცინო პრაქტიკას, სპეციალიზდება ნერვულ ავადმყოფობებზე.

თავიდან ფროიდი ცდილობდა შეესწავლა ნერვოზის ისტერიად წოდებული სახე და იყენებდა ჰიპნოზს, რაც მან შეისწავლა პარიზში ქან - მარტინ შარკოსთან 1885 წელს. მოგვიანებით ის უფლება მისი ვენელი მეგობარი ექიმის, იოზეფ ბრაიერის მეთოდს, რომლის დროსაც ისტერიული სიმპტომები ქრებიან (პაციენტი აღადგენს ვითარებას თუ როგორ გაჩნდნენ პირველი სიმპტომები). 1895 წლისათვის ფროიდი ბრეიერთან ერთად აქვეყნებს წიგნს მთელი რიგი რევოლუციური დასკვნებით: ისეთი ნერვოზის მიზეზები, როგორიცაა ისტერია ფსიქოლოგიური ხასიათისაა და არა ფიზიოლოგიური, როგორც მაშინ მიიჩნევდნენ; მკურნალობაში საჭიროა სენის პირველი მიზეზების განხილვის ჩართვა. ასე ჩაისახა ფსიქოანალიზის თეორიული და პრაქტიკული სფერო. მას მერე რაც ფროიდი დარწმუნდა, რომ ნერვოზების საფუძველი არის სექსუალური ფაქტორები, უფრო ფართოდ, ლიბიდო, ის წავა დამოუკიდებელი გზით. შემდგომი რამოდენიმე წლის განმავლობაში ფროიდი სრულყოფს თავის თერაპიულ მეთოდს და ბევრს წერს თავის აღმოჩენებზე.

1902 წლისათვის ფროიდი შემოიკრებს მიმდევრებს, საკუთარ სახლში ყოველკვირეული შეხვედრებით.

1903_1904 წლისათვის სხვა მეცნიერებმა (მაგალითად, კარლ იუნგმა) დაიწყეს ფროიდის იდეების გამოყენება საკუთარ ფსიქიატრიულ საქმიანობაში. 1908 წელს შედგა პირველი ფსიქოანალიტიკური კონგრესი, მეორე წელს ფსიქოანალიტიკური ცოდნის გავრცელების მიზნით დაარსდა პერიოდული ჟურნალი. ჟურნალის გამოსვლის შემდეგ ფროიდი წყვეტს კავშირს იუნგთან და კიდევ ზოგიერთ

მოწაფესთან და შედეგად ფსიქოანალიზში ჩაისახა ახალი სფერო. ეს მეცნიერები განცალკევდნენ საკუთარი იდეების განვითარების მიზნით და შექმნეს თავიანთი ჯგუფები. პირველმა მსოფლიო ომმა



შეაფერხა ფსიქოანალიზის წინსვლა, მაგრამ ის მაინც ფართოვდებოდა და მნიშვნელოვნად ვითარდებოდა XXს. 20-იან წლებში. ნაციზმის ჩასახვით ფსიქოანალიზის ცენტრმა გადაინაცვლა აშშ, სადაც დღემდე რჩება. ფროიდი დარჩა ვენაში 1938 წლამდე, ფაშისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ფროიდი იყო ებრაელი და მისი წიგნები ნაცისტებმა ჯერ კიდევ

1933 წელს დაწვეს, ფროიდისათვის ფაშისტებს ხელი არ უხლიათ, თუმცა მხოლოდ გამოსასყიდის გადახდისა და პრეზიდენტი რუზველტის უშუალო ჩარევის შემდეგ მან დატოვა ვენა. 1923 წლიდან ფროიდს აწუხებდა ყბის ვიბო, ის გარდაიცვალა ლონდონში 1939 წლის 23 სექტემბერს.

ბრიტანული სოციოლოგიის სათავეები

შევეხეთ რა სოციოლოგიის განვითარებას საფრანგეთში (კონტი, დიურკემი) და გერმანიაში (მარქსი, ვებერი, ზიმელი), საჭიროა შევეხოთ სოციოლოგიის განვითარება ინგლისში. ჩვენ შევამჩნიეთ, რომ კონტინენტზე ჩასახულმა იდეებმა იქონია გავლენა ადრინდელ ბრიტანულ სოციოლოგიაზე, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ადგილობრივმა პირობებმა.

პოლიტიკური ეკონომია, ამელიორიზმი და სოციალური ევოლუცია.

ფილიპ აბრამსი ამტკიცებს, რომ სამი ურთიერთსაპირისპირო წყარო განაპირობებს ბრიტანული სოციოლოგიის ჩამოყალიბებას XIXს. ეს წყაროებია - პოლიტიკური ეკონომია, ამელიორიზმი და სოციალური ევოლუცია. ამგვარად, გამოდის, რომ როდესაც 1903 წელს ჩამოყალიბდა ლონდონის სოციოლოგიური საზოგადოება, თვით „სოციოლოგიის“ ცნების განსაზღვრაში არ იყო ერთსულოვნება. მაგრამ ცოტა ვინმეს თუ ეპარებოდა ეჭვი სოციოლოგიის მეცნიერულობაში. ბრიტანული სოციოლოგიის სპეციფიკას ქმნის იმ შეხედულებების განსხვავებები, რომელთაც მოკლედ განვიხილავთ.

პოლიტიკური ეკონომია. ჩვენ უკვე შევეხეთ პოლიტიკურ ეკონომიას, როგორც ინდუსტრიული და კაპიტალისტური საზოგადოების თეორიას, რომელიც სათავეებს ნაწილობრივ იღებს ადამ სმიტან (1723-1790). (სმიტი ჩვეულებრივ ითვლება შოტლანდიური განმანათლებლობის წამყვან ფიგურად და ერთ-ერთ შოტლანდიულ მორალისტად), რომელიც ცდილობდა განესაზღვრა სოციოლოგიის საფუძვლები). როგორც ვნახეთ პოლიტიკურ ეკონომიას გავლენა ქონდა კ.მარქსზე. მარქსმა დეტალურად შეისწავლა პოლიტიკური ეკონომია და კრიტიკულად უდგებოდა მას. სხვა პოზიცია ეკავათ ბრიტანელ ეკონომისტებსა და სოციოლოგებს, ისინი მზად იყვნენ დათანხმებოდნენ სმიტს, რომ არსებობს „უხილავი ხელი“, რომელიც არეგულირებს შრომისა და საქონლის ბაზარს. ბაზარი განიხილებოდა, როგორც ზეინდივიდუალური და ინდივიდის ქცევების მაკონტროლებელი დამოუკიდებელი რეალობა. მარქსისაგან განსხვავებით ბრიტანელი სოციოლოგები და კლასიკური პოლიტიკური ეკონომიური სკოლის წარმომადგენლები ბაზარს მიიჩნევდნენ პოზიტიურ ძალად, წესრიგის წყაროდ, საზოგადოების გაერთიანებისა და ჰარმონიის ძალად. რადგან ისინი ამ პოზიციით უყურებდნენ საზოგადოებას, ამიტომ სოციოლოგის ამოცანა მათვის იყო საზოგადოების არა კრიტიკა, არამედ მისი ფუნქციონირების შესახებ მონაცემების შეგროვება, ხოლო მიზანი - მთავრობის უზრუნველყოფა სისტემის მუშაობის გასაგებად აუცილებელი ფაქტებით და შედეგად მისი ბრძნული ხელმძღვანელობა.

ცხადია, აქცენტი კეთდება ფაქტებზე, მაგრამ რომელზე? მაშინ, როდესაც მარქსი, ვებერი, დიურკემი, კონტი ეძებდნენ საზოგადოების სტრუქტურების დასაყრდენ ფაქტებს, ბრიტანელი მოაზროვნეები



ცდილობდნენ მეტი ყურადღება მიექციათ ამ სტრუქტურების შემადგენელ ინდივიდებზე. ისინი იკვლევდნენ ფართომასშტაბიან სტრუქტურებს ინდივიდუალურ დონეზე მონაცემების შეგროვებით და შემდეგ აერთიანებდნენ ამ მონაცენებს კოლექტიური პორტრეტის ჩამოსაყალიბებლად. XIXს. შუახნებში ბრიტანულ სოციოლოგიაში წამყვანი ადგილი უკავია სტატისტიკას, მონაცემთა შეგროვების ეს ფორმა ითვლებოდა სოციოლოგის მნიშვნელოვან ამოცანად. მიზანი იყო „წმინდა“ ფაქტების შეგროვება ყოველგვარი თეორეტიზმირებისა და ფილოსოფიური ანალიზის გარეშე. ემპირისტი სოციოლოგები საფუძველშივე და საფუძვლიანად განსხვავდებოდნენ თეორეტიკოსი სოციოლოგებისაგან. ზოგადი თეორეტიზმირების ნაცვლად აქცენტი კეთდებოდა ზუსტი მონაცემების დამუშავებაზე, მონაცემების შეგროვებისა და კლასიფიკაციის საუკეთესო მეთოდებზე, საუკეთესო მაჩვენებლებზე, რომლებშიც აისახებოდა ცხოვრებისეული პროცესები, მონაცემთა ცალკეული ჯგუფების შედარების საუკეთესო მეთოდებზე და ა.შ.

პარადოქსულია, მაგრამ სოციოლოგები, რომლებიც გართული იყვნენ სტატისტიკით თავადვე მიხვდნენ მათი მეთოდის შეზღუდულობას. ზოგიერთმა მათგანმა იგრძნო უფრო ფართო თეორიული ბაზის აუცილებლობა. ისეთი პრობლემა, როგორიცაა სიღარიბე, მიუთითებდა ბაზრის სისტემისა და ზოგადად სზოგადოების ნაკლულ მხარეებზე. მაგრამ სოციოლოგთა უმრავლესობა, რადგან ყურადღება გადატანილი ქონდათ ინდივიდებზე არ აანალიზებდნენ სისტემას ზოგადად. ამის ნაცვლად ისინი შეუდგნენ უფრო დეტალურ საველე გამოკვლევებს და უფრო რთული და ზუსტი სტატისტიკური მეთოდების განვითარებას. მათი აზრით პრობლემის სათავეები კვლევის არახელსაყრელ მეთოდებშია და არა მირითად სისტემაში, როგორც ასეთში. როგორც ფილიპ აბრამსი შენიშნავს: „ინდივიდის მატერიალურ მდგომარეობაზე ჯიუტი ფოკუსირებით სტატისტიკოსებს გაუჭირდათ სიღარიბე ჩაეთვალათ სოციალური სისტემის პროდუქტად. ისინი არ მისულან და ალბათ ვერც მივიდოდნენ სტრუქტურული შევიწროების კონცეფციამდე. ინდივიდის შესწავლისადმი თავიანთი თეორიულ- მეთოდოლოგიური მიჯაჭულობის გარდა, სტატისტიკოსები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სამთავრობო პოლიტიკის ავტორებთან, რათა გაეკეთებინათ დასკვნა, რომ პრობლემა მდგომარეობს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში.

ამელიორიზმი. ბრიტანული სოციოლოგის მეორე განმსზღვრელი ფაქტორი პოლიტიკური ეკონომიკისაგან განსხვავებული, მაგრამ მასთან კავშირში მყოფი, იყო ამელიორიზმი ანუ საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრა პიროვნების გარდაქმნით, გადაკეთებით, მისი გაუმჯობესებით. ბრიტანელი სოციოლოგები ხედავენ, რომ საზოგადოებაში არის პრობლემები (მაგალითად, სიღარიბე) მათ მაინც სჯერათ საზოგადოებისა და ცდილობენ მის ასეთად შენარჩუნებას. მათი სურვილია გამოირიცხოს ძალადობა და რევოლუცია და სისტემა რეფორმირებულ იქნას ისე, რომ მისი არსი არ შეიცვალოს. უპირველეს ყოვლისა ისინი ეწინააღმდეგებიან სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას. მაშასადამე, როგორც ფრანგული სოციოლოგია და გერმანული სოციოლოგიის ნაწილი, ბრიტანული სოციოლოგიაც კონსერვატიული ორიენტაციისაა.

რადგან ბრიტანელმა სოციოლოგებმა ვერ შეეძლეს, თუ არ უნდოდათ დაენახათ საზოგადოების პრობლემების წყაროები, როგორიცაა, მაგალითად სიღარიბე, მათ გაიადვილეს საქმე და ეს პრობლემები დაინახეს თვით ინდივიდში. ეს იყო ადრინდელი ფორმა იმისა, რასაც უილიამ რაიანი მოგვიანებით დაარქმევს „მსხვერპლის დადანაშაულებას“. ამიტომ დიდი ყურადღება დაეთმო ინდივიდუალურ პრობლემებს: გულგრილობა, სულიერი სიმწირე, სიბინძურე, ანტისანიტარია, პაუპერიზმი(?), დანაშაული,



ლოთობა, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ცხადია მეცნიერები ემებდნენ ყველა სოციალური უბედურების მიზეზს და ასეთად ადვილად ამჩნევდნენ ალკოჰოლიზმს. თან ეს ვარიანტი იდეალურად აწყობდათ ამელიორისტებს, რადგან ყველაფერი დაიყვანება პიროვნების პათოლოგიაზე და არა საზოგადოებაზე. ამელიორისტებს აკლდათ სოციალური სტრუქტურის თეორია, სოციალურ მიზეზთა თეორია და ინდივიდუალურ პრობლემათა თეორია.

სოციალური ევოლუცია. ბრიტანულ სოციოლოგიაში შედარებით ძლიერ შეიმჩნევა სოციალური სტრუქტურისადმი ინტერესი, რაც აისახება კიდევ მასში XIXს. მეორე ნახევარში, როდესაც წინ წამოიწევს ინტერესი „სოციალური ევოლუციის“ მიმართ. ამ კუთხით გარკვეული გავლენა იქონია 50-იან წლებში ჰარიეტ მარტინის მიერ კონტის შემოქმედების თარგმნამ. თავიდან ნაკლებად, მაგრამ ცოტა მოგვიანებით ზოგიერთ მოაზროვნე დაინტერესდა საზოგადოების მსხვილი სტრუქტურების შესახებ კონტის გამოკვლევებით, მისი მეცნიერული (პოზიტიური) ორიენტაციით, შედარებითი ანალიზის მიმართ მისი დამოკიდებულებით და ევოლუციის თეორიით. ზოგიერთი ბრიტანელი თავის შეხედულებებს ააგებს კონტის თეორიისადმი ოპოზიციურ საწყისებზე (მაგალითად, ეწინააღმდეგებიან სოციოლოგიისათვის რელიგიის სტატუსის მინიჭებას).

აბრამსის აზრით, კონტის ჭეშმარიტი მნიშვნელობა მდგომარეობდა იმ თეორიული ბაზის შექმნაში, რომელიც ოპონირებას გაუწევდა ჰერბერტ სპენსერის დამთრგუნველ გენიალობასა და ავტორიტეტს, რადგან ის იყო ბრიტანული სოციოლოგიური აზრის წამყვანი ფიგურა როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური თვალსაზრისით (ჟ.თურნეტ).

ჰერბერტ სპენსერი (1820 - 1903). სპენსერის იდეების გასაგებად ვარგი იქნება მისი შედარება ო.კონტან.

სპენსერი და კონტი. თუმცა ამ ორ მოაზროვნეს შორის დიდი განსხვავებაა, მათ ხშირად მიაკუთვნებენ სოციოლოგთა ერთ კატეგორიას, რადგან მსგავსი გავლენა იქონიეს სოციოლოგიის განვითარებაზე. მაგალითად, მნელია სპენსერი მიაკუთვნო კონსერვატორებს. ფაქტობრივად ახალგაზრდობაში სპენსერი უფრო იყო პოლიტიკური ლიბერალი და ლიბერალიზმის ელემენტებს მთელი სიცოცხლე ინარჩუნებდა. მაგრამ ისიც სწორია, რომ დროთა განმავლობაში სპენსერი თავის შეხედულებებში სულ უფრო კონსერვატიული ხდებოდა და მისი გავლენა სხვა სოციოლოგებზე, როგორც კონტისა, ასევე კონსერვატიული ტიპის იყო.

კონსერვატორებისათვის მისაღები სპენსერის ერთ-ერთი ლიბერალური პრინციპია თანხმობა Laissez – faire – ს დოქტრინასთან (მიეცით ადამიანებს აკეთონ თავიანთი საქმე, მიეცით საქმეს იაროს თავისი გზით – სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის თავისუფლებისა და ჩაურევლობის ლოზუნგი). ის მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ინდივიდის საქმეებში, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც უნდა განხორციელდეს მოქალაქეთა დაცვის საკმაოდ მარტივი ფუნქცია. ეს ნიშნავს, რომ სპენსერი, კონტისაგან განსხვავებით, არ არის სოციალური რეფორმების მომხრე: მას უნდა, რომ სოციალური ცხოვრება თავისუფლად ვითარდებოდეს გარე კონტროლის გარეშე.

ეს განსხვავება სპენსერს აახლოებს სოციალურ დარვინიზმთან. ის ემხრობა ევოლუციონისტურ შეხედულებებს, რომ სამყარო დროთა სვლაში უკეთესი ხდება, ამიტომ უმჯობესია არ ჩავერიოთ, გარედან ჩარევა ყოველთვის აუარესებს სიტუაციას. ის იზიარებს თვალსაზრისს, რომლის თანახმად



სოციალური ინსტიტუტები მსგავსად მცენარეებისა და ცხოველებისა თანდათანობით და პოზიტიურად ეგუებიან თავის სოციალურ გარემოს. მან ასევე გადაიღო დარვინისეული მიდგომა და მიაჩნდა, რომ ბუნებრივი შერჩევის პროცესი „უკეთ შეგუებულის გდარჩენა“ სოციალურ სფეროშიც მუშაობს. (საინტერესოა რომ სწორედ სპენსერმა შემოიღო „უძლიერესის გადარჩენის“ ცნება რამოდენიმე წლით ადრე ვიდრე გამოვიდოდა ჩარლზ დარვინის შრომა მიძღვნილი ბუნებრივი შერჩევისადმი). მგვარად, თუ გარეგანი ჩარევის სახით არ არსებობს წინაღობა, ადამიანები, „ძლიერები“ გადარჩებიან და შეეგუებიან, მაშინ როდესაც „სუსტები“ ბოლოს და ბოლოს ამოწყდებიან. მეორე განსხვავება იყო ის, რომ სპენსერი აწვება პიროვნებას, მაშინ როდესაც კონტს უფრო დიდ ერთეულებზე (ვთქვათ, ოჯახზე) აქვს ყურადღება კონცენტრირებული.

კონტი და სპენსერი დიურკემისა და სხვათა მსგავსად ემხრობიან მეცნიერულ სოციოლოგიას, რაც ძალზე მიმზიდველი პერსპექტივა იყო ადრინდელი თეორეტიკოსებისათვის. სპენსერის შემოქმედების მეორე ასპექტი, რაც მას აახლოებს კონტსა და დიურკემთან იყო საზოგადოების, როგორც ორგანიზმის ხედვისადმი მიდრეკილება. ამ მიმართებაში სპენსერი თავის შეხედულებებსა და ცნებებს დაესქსხა ბიოლოგიას. მას აინტერესებდა საზოგადოების სტრუქტურა მთლიანობაში, ურთიერთმიმართება მის ნაწილებს შორის და ნაწილების ფუნქციები, როგორც სისტემასთან ასევე ერთმანეთთან მიმართებაში.

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ სპენსერი, კონტის მსგავსად, ემხრობა ისტორიული განვითარების ევოლუციონისტურ კონცეფციას და ამავე დროს აკრიტიკებს კონტის ევოლუციონისტური თეორიის ზოგიერთ პუნქტებს. კერძოდ, ის უარყოფს კონტის სამი სტადიის კანონს. სპენსერი ამტკიცებდა, რომ კონტი დაკმაყოფილდა ინტელექტუალური განვითარების თვალსაზრისით, იდეათა სამეფოში ევოლუციის გამოკვლევით. სპენსერი კი ცდილობდა შეემუშავებინა ევოლუციონისტური თეორია რეალური, მატერიალური სამყაროსათვის.

ევოლუციური თეორია. სპენსერის შემოქმედებაში შეიიძლება გამოვყოთ, როგორც მინიმუმ, ორი ევოლუციონისტური პოზიცია.

პირველი, უპირველეს ყოვლისა, ეხება საზოგადოების ზომის ზრდას. საზოგადოება იზრდება ინდივიდთა რაოდენობრივი ზრდისა და ჯგუფების ფორმირებით. საზოგადოების ზომის ზრდა იწევს უფრო მსხვილი და სხვადასხვანაირი სოციალური სტრუქტურების გაჩენას და ასევე მათ შესასრულებელ ფუნქციათა დიფერენციაციასა და ზრდას. გარდა ზომის ზრდისა საზოგადოების განვითარება მიმდინარეობს გაერთიანების გზით ე.ი. ჯგუფების სულ უფრო მეტი შერწყმით. ამგვარად, სპენსერი საუბრობს მარტივიდან რთულისაკენ ევოლუციურ მოძრაობაზე, ორმაგად და სამმაგად რთული საზოგადოებისაკენ.

სპენსერი ასევე გვთავაზობს მეომარი საზოგადოებიდან ინდუსტრიული საზოგადოებისაკენ ევოლუციის თეორიას. ადრინდელი მეომარი საზოგადოებები ხასიათდებიან იმით, რომ მათი სტრუქტურა განისაზღვრებოდა ომების შეტევითი თუ დაცვითი საჭიროებებით. ომისადმი კრიტიკულად განწყობილი სპენსერი მიიჩნევდა, რომ ადრინდელ ეტაპზე მათი (ომების) ფუნქცია იყო საზოგადოების გაერთიანება (მაგალითად, დაპყრობების გზით) და უფრო რთული ადამიანური ერთობების შექმნა, რაც აუცილებელი იყო ინდუსტრიული საზოგადოებების შექმნისათვის და განვითარებისათვის. მაგრამ ინდუსტრიული საზოგადოებების აღმოცენების შემდეგ ომები კარგავენ თავიანთ ფუნქციონალურ



ხასიათს და უკვე ხელს უშლიან შემდგომ ევოლუციას. ინდუსტრიული საზოგადოება ეფუძნება მეგობრობას, ალტრუიზმს, ვიწრი სპეციალიზაციას, მიღწევათა წახალისებას და

მაღალდისციპლინირებადი ინდივიდების ნებაყოფილობით კოოპერაციას, მაგრამ არა მტრულ თვისებებს. ასეთი საზოგადოება ერთიანდება ნებაყოფილობით, ურთიერთხელშეკრულებით და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ძლიერი საერთო მორალით. მთავრობის როლი შეზღუდულია და დაიყვანება მხოლოდ იმის კონტროლზე თუ რა არ უნდა ხდებოდეს საზოგადოებაში, რა არ უნდა აკეთოს მოქალაქეებმა. ცხადია, თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოება ნაკლებად მეომარი ხასიათისაა, ვიდრე ადრინდელი საზოგადოებები. სპენსერი, თუმცა კი ამჩნევს ინდუსტრიული საზოგადოებისაკენ მიმავალ ზოგად ევოლუციას, ამავე დროს ის აღიარებს ომისადმი და მეომარი საზოგადოებებისადმი პერიოდულად მიზრუნების შესაძლებლობას.

ეთიკასა და პოლიტიკაზე ნაშრომებში სპენსერი გადმოგვცემს განსხვავებულ შეხედულებებს საზოგადოების ევოლუციაზე. ერთი მხრივ, ის თვლის, რომ საზოგადოების პროგრესი მიმართულია იდეალისაკენ, ან სრულყოფილი ზნეობრივი მდგომარეობისაკენ. მეორე მხრივ, ის ამტკიცებს, რომ გადარჩებიან ძლიერი საზოგადოებები, სუსტები დაიღუპებიან. ასეთი პროცესის რეზულტატია მთლიანად საზოგადოების ადაპტაცია ახალ დონეზე.

სოციალურ ევოლუციაზე სპენსერი გვთავაზობს მდიდარ და მრავალხასიათიან იდეებს. თავიდან მისი იდეები წარმატებულია, შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში უარყოფილია, უფრო გვიან კი, ნეოევოლუციონისტური თეორიების პერიოდში, კვლავ მოექცნენ ყურადღების ცენტრში.

ანტისპენსერული რეაქცია ბრიტანეთში. მიუხედავად იმისა, რომ სპენსერი აქცენტირებს ინდივიდზე, ის უფრო ცნობილია, როგორც სოციალური ევოლუციის მსხვილმაშტაბიანი თეორიის ავტორი. აქ ის კონფრონტაციაშია იმ სოციოლოგიასთან, რომელიც ბრიტანეთში არსებობდა სპენსერამდე. მაგრამ ანტისპენსერული რეაქცია უფრო იმ მუქარას ეფუძნება, რომელსაც მისი „ძლიერის გადარჩენის“ იდეები შეიცავდა ამელიორიზმისათვის, რაც ასე ძვირფასი იყო ბრიტანელი სოციოლოგებისათვის. თუმცა მოგვიანებით სპენსერმა უარი თქვა ზოგიერთ საკუთარ სკანდალურ იდეაზე, ის მაინც აგრძელებდა ძლიერის გადარჩენის ფილოსოფიის მხარდაჭერას და გამოდის სოციალურ სფეროში მთავრობის ჩარევის წინააღმდეგ: არარაობის სიკეთით წახალისება – უკიდურესი ბოროტებაა. ეს გამიზნულად გამოიწვევს შემდეგი თაობების უბედურებას. მემკვიდრეთათვის არ არსებობს უფრო დიდი უბედურება ვიდრე მათთვის გონებაჩლუნგთა, უსაქმურთა და დამნაშვერთა მზარდი რიგის ანდერძად გადაცემა. ბუნების ყველა ძალისხმევა მიმართულია იქითვენ, რომ მოიცილონ საზოგადოების ასეთი წევრები, გაწმინდონ სამყარო მათგან და გაანთავისუფლონ სივრცე უკეთესისათვის. თუ ისინი სიცოცხლისათვის არასაკმარისად სრულყოფილებია დაიხოცებიან და ეს საუკეთესოა რის გაკეთებასაც ისინი შესძლებენ. ასეთი განწყობა პირდაპირწინააღმდეგობრივია ბრიტანელი რეფორმატორ-სოციოლოგების ამელიორაციულ მიმდინარეობასთან.

ადრინდელი იტალიური სოციოლოგიის ძირითადი ფიგურა.

ნარკვევს ადრინდელი, ძირითადად კონსერვატული ევროპული სოციოლოგიური თეორიების შესახებ ვასრულებ ერთ-ერთი იტალიელი სოციოლოგის ვილფრედო პარეტოს (1848-1923) მოკლე გახსენებით.



პარეტო იყო ავტორიტეტული სოციოლოგი, მაგრამ დღეს მისი აქტუალობა მინიმალურია. 30-იან წლებში შეიმჩნეოდა მისი შემოქმედების მიმართ ინტერესის გარკვეული ზრდა, როდესაც წამყვანმა ამერიკელმა თეორეტიკოსმა ტალკოტ პარსონსმა დიდი ყურადღება დაუთმო მას, ვებერისა და დიურკემის გვერდით. შემდგომ წლებში ზოგიერთი მისი კონცეფციის გამოკლებით, მის მიმართ ინტერესი კვლავ მცირდება.

ცეიტლინი ამტკიცებდა, რომ პარეტომ თავისი იდეები შეიმუშავა, როგორც მარქსის შეხედულებების უარყოფა. ფაქტობრივად პარეტო უარყოფდა არა მხოლოდ მარქსის შეხედულებებს, არამედ განმანათლებლობის ფილოსოფიის მნიშვნელოვან ნაწილსაც. მაგალითად, თუ განმანათლებლობის ფილოსოფოსები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რაციონალობას, პარეტო ხაზს უსვამდა ირაციონალურ ფაქტორებს, მაგალითად, ადამიანის ინსტინქტებს. ეს შეხედულება უპირისპირდება მარქსის თეორიასაც. ე.ი. რამდენადაც ირაციონალური, ინსტინქტური ფაქტორები განიხილებან, როგორც ასე მნიშვნელოვანი და ამდენად უცვლელნი, მაშინ შეუძლებელია ეკონომიკური რევოლუციით რაიმე კარდინალური სოციალური ცვლილებების იმედი.

პარეტომ შეიმუშავა მარქსის თეორიის კონფრონტაციული ცვლილებების თეორია. თუ მარქსის თეორია აქცენტს აკეთებს მასებზე, პარეტო გვთავაზობს სოციალური ცვლილებების ელიტურ თეორიას, სადაც საბუთდება, რომ საზოგადოებაში უცილობლად ბატონობს ელიტა, რომელიც ეფუძნება განათლებულ ეგოიზმს. ელიტა ირაციონალური ძალებით მართავს ადამიანთა მასებს. პარეტოს სისტემაში მასები ვერ იქნებიან რევოლუციური ძალები, რადგან მათ ამისათვის არ ეყოფათ ინტელექტუალური თავისებურებები. სოციალური რევოლუცია იწყება, როდესაც ელიტა იწყებს გადაგვარებას და იწყება მისი შეცვლა არამართველი ფენებიდან წამოსული ახალი ელიტით. როდესაც ძალაუფლების სათავეებში ახალი ელიტაა, პროცესი იწყება თავიდან. ამგვარად, ჩვენ გვაქვს სოციალური ცვლილებების ციკლური თეორია, როგორსაც გვთავაზობდნენ მარქსი, კონტი, სპენსერი და სხვები. გარდა ამისა, ცვლილებების პარეტოსეულ თეორიაში მეტწილად იგნორირებულია მასების დუხშირი მდგომარეობა. ელიტები მიდიან და მოდიან, უზარმაზარი მასების ცხოვრება უცვლელი რჩება.

ეს თეორია არ იყო პარეტოს მიერ სოციოლოგიაში შეტანილი სიცოცხლისუნარიანი და გრძელვადიანი წვლილი. სოციოლოგისა და სოციალური სამყაროს პარეტოსეული მეცნიერული კონცეფცია გამოიხატება სიტყვებით: „ჩემი სურვილია - სოციოლოგიის სისტემა ავაწყო ციური მექანიკის (ასტრონომიის) ფიზიკის, ქიმიის მსგავსად. სხვა სიტყვებით, საზოგადოება პარეტოს ესმის, როგორც წონასწორობაში მყოფი სისტემა, მთლიანი, რომელიც შედგება ურთიერთკავშირში მყოფი ნაწილებისაგან. ერთ ნაწილში ცვლილება განიხილება, როგორც სისტემის სხვა ნაწილების ცვლილებების გამომწვევი ფაქტორი. საზოგადოების პარეტოსეული სისტემური კონცეფცია იყო მნიშვნელოვანი მიზეზი იმ ყურადღებისა, რომელიც პარსონსმა მიაგო პარეტოს თავის წიგნში 1937 წელს. „სოციალური ქმედების სტრუქტურა“ და ეს იყო პარეტოს მნიშვნელოვანი გავლენა პარსონსის შეხედულებზე. საზოგადოებისადმი მსგავსი ორგანისტული შეხედულებების ქქონე სოციოლოგებთან (კონტი, დიურკემი, სპენსერი) ერთად პარეტომ მთავარი როლი შეასრულა პარსონსის კონცეფციის და უფრო ფართოდ - სტრუქტურული ფუნქციონალიზმის განვითარებაში.



დღეს იშვიათად კითხულობს სოციოლოგი პარეტოს შრომებს. ჩვენ კი გვინდა ვთქვათ, რომ პარეტო ცნობილია ელიტის წრებრუნვის თეორიით, ხოლო მისი შემოქმედება განვიხილოთ, როგორც განმანათლებლობისა და მარქსისტული თეორიის უარყოფა.

ევროპული მარქსიზმის განვითარება XIX-XX სს. მიჯნაზე.

მაშინ, როდესაც XIXს. ბევრი სოციოლოგი თავის თეორიას მარქსთან ოპოზიციაში ანვითარებდა, მთელი რიგი მარქსისტების მხრიდან შეიმჩნეოდა მარქსისტული თეორიის გაფართოება და იმავდროულად ახსნა-ინტერპრეტაცია. დაახლოებით 1875-1925 წლებში მოხდა მარქსიზმისა და სოციოლოგიის ნაწილობრივი გადაკვეთა-თანმთხვევა (ვებერი ამ შემთხვევაში გამონაკლისია). მანამდე კი ორი იდეური სკოლა ვითარდებოდა პარალელურად ისე, რომ მათ შორის თითქმის არ ქონია ადგილი ურთიერთშეხებასა და ურთიერთგაცვლას.

მარქსის გარდაცვალების შემდეგ თავიდან მარქსიზმის თეორიაში დომინირებდნენ ისინი ვინც მის თეორიაში ხედავდა მეცნიერულ და ეკონომიკურ დეტერმინიზმს. ვალერშტაინი ამ პერიოდს უწოდებს

„ორთოდოქსალური მარქსიზმის“ პერიოდს. ფრიდრიხ ენგელსი, მარქსის თანამებრძოლი და კეთილმყოფელი შეიძლება ჩაითვალოს ასეთი მოძღვრების პირველ წარმომადგენლად. ასეთი მიდგომის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მარქსის ეკონომიკურმა თეორიამ ახსნა ეკონომიკის კანონები, რომლებიც მართავენ კაპიტალისტურ საზოგადოებას. ეს კანონები წინასწარმეტყველებენ კაპიტალისტური სისტემის უცილობელ დაღუპვას. ადრინდელი მარქსისტები (როგორიცაა კარლ კაუტსკი), ცდილობდნენ მოეძიებინათ ამ კანონების უკეთ გამოყენების ფორმები, ამავე დროს ამ თვალსაზრისს ახასიათებდა წინააღმდეგობებიც. ერთი მხრივ, ის თითქოსდა სახავს პოლიტიკურ მიზნებს, რაც მარქსის პოზიციის ქვაკუთხედია. მაგრამ სისტემაში, რომელიც აუცილებლად ირღვეოდა, რა უნდა მოემოქმედათ მათ - უნდა დამსხდარიყვნენ და დალოდებოდნენ სისტემის დაღუპვას. ე.ი. თითქოსდა არ იყო იმის აუცილებლობა, რომ პიროვნებას, მუშას რაიმე მოემოქმედებინა. მეორე მხრივ, მარქსიზმის დეტერმინისტულ თეორიაში, თითქოს დაინახეს კიდევ დიალექტიკური კავშირი ინდივიდებსა და დიდ სოციალურ სტრუქტურებს შორის.

XXს. დასაწყისში ამ ვითარებაზე რეაქცია ქონდათ თეორეტიკოს - მარქსისტებს და ასევე გამოიწვია

„ჰეგელიანური მარქსიზმის“ განვითარება, რომლებიც უარს ამბობდნენ გაეიგივებინათ მარქსიზმი მეცნიერულ თეორიასთან, რომელშიც იგნორირებული იქნებოდა ინდივიდუალური აზრი და პიროვნების ქმედება. ისინი იწოდებოდნენ ჰეგელიანელ მარქსისტებად იმიტომ, რომ ცდილობდნენ გაერთიანებინათ ჰეგელის ინტერესი ცნობიერებისადმი (რაც, როგორც ზოგიერთები და მათ შორის ამ სიტყვების ავტორიც თვლის, რომ ახასიათებდა მარქსისაც) საზოგადოების ეკონომიკური დეტერმინიზმის მიმდევართა ინტერესებთან. ჰეგელიანელ მარქსისტებს, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა ქონდათ. თეორიაში მათ აღადგინეს პიროვნების, ცნობიერების, აზრსა და ქმედებას შორის მიმართებების მნიშვნელობა. პრაქტიკული კუთხით ისინი ხაზს უსვამდნენ ინდივიდუალური ქმედებების მნიშვნელობას სოციალურ რევოლუციებში.

ამ თვალსაზრისის მთავარი წარმომადგენელი იყო გეორგ ლუკაჩი. მარტინ ჯეის აზრით, ლუკაჩი იყო



„დასავლეთის მარქსიზმის მამა - დამაარსებელი”, ხოლო მისი ნაშრომი „კლასი და კლასობრივი ცნობიერება”, „ფართოდაა აღიარებული, როგორც ჰეგელიანური მარქსიზმის კოდექსი”. XXს. დასაწყისში ლუკაჩი ცდილობდა მარქსიზმისა და სოციოლოგიის (განსაკუთრებით ვებერისა და ზიმელის) გაერთიანებას. მალე, კრიტიკული თეორიის განვითარებასთან ერთად 20-იან და 30-იან წლებში გაერთიანების მცდელობა უფრო ინტენსიური გახდა.

რეზიუმე

მოცემულ თავში განხილულია ადრინდელი სოციოლოგიური თეორიები. პირველი და უფრო მოკლე ნაწილი ეძღვნება სოციოლოგიური თეორიის განვითარების სხვადასხვა სოციალურ ფაქტორებს. თუმცა ასეთი ფაქტორები ბევრია, ჩვენ ძირითადად ყურადღება დავუთმეთ იმას, თუ როგორი გავლენა იქნია სოციოლოგიურ თეორიებზე პოლიტიკურმა რევოლუციამ, სამრეწველო რევოლუციამ, კაპიტალიზმის ზრდამ, სოციალიზმა, ურბანიზაციამ, რელიგიურმა ცვლილებებმა და მეცნიერების განვითარებამ. მეორე ნაწილში შევეხეთ სხვადასხვა ქვეყნებში სოციოლოგიური თეორიების განვითარების ინტელექტუალურ ფაქტორებს. ჩვენ დავიწყეთ საფრანგეთით და განმანათლებლობის როლით, აქცენტს ვაკეთებდით განმანათლებლობაზე კონსერვატიული და რომანტიკულ რეაქციებზე. საფრანგეთში სოციოლოგიური თეორია ვითარდებოდა ამ ურთიერთქმედებების გარეშე. ამ კონტექსტში ჩვენ შევისწავლეთ ფრანგული სოციოლოგიის ადრინდელი წლების მთავარი წარმომადგენლები: კლოდ ანრი სენ-სიმონი, ოგიუსტ კონტი და ემილ დიურკემი.

შემდეგ ჩვენ შევეხეთ გერმანიასა და კ.მარქსის როლს გერმანული სოციოლოგიის განვითარებაში. ჩვენ განვიხილეთ მარქსისტული თეორიისა და სოციოლოგიის პარალელური განვითარება და პირველის, როგორც დადებითი ასევე ნეგატიური გავლენა სოციოლოგიაზე. ჩვენ დავიწყეთ მარქსის თეორიის ფესვებიდან ჰეგელიანელობაში, მატერიალიზმა და პოლიტიკურ ეკონომიაში. თვით მარქსის თეორია მოკლედაა აღწერილი. შემდეგ ჩვენ განვიხილეთ გერმანული სოციოლოგიის ფესვები. გერმანული სოციოლოგიის სხვადასხვა წყაროების საჩვენებლად ჩვენ ვისაუბრეთ მაქს ვებერზე. განვიხილეთ ზოგიერთი მიზეზები იმისა, თუ რატომ აღმოჩნდა ვებერის თეორია უფრო მისაღები გვიანდელი სოციოლოგებისათვის, ვიდრე მარქსის იდეები. ეს ნაწილი დავასრულეთ გეორგ ზიმელის შემოქმედების მოკლე მიმოხილვით.

შემდეგ განხილული იყო სოციოლოგიური თეორიის განვითარება ბრიტანული სოციოლოგიის მთავარი წყაროები იყო პოლიტიკური ეკონომია, ამელიორიზმი და სოციალური ევოლუცია. ამ კონტექსტში ჩვენ შევეხეთ ჰერბერტ სპენსერის შემოქმედებას და მის თანმდევ პოლემიკას.

პირველი თავი სრულდება იტალიური სოციოლოგიური თეორიის მოკლე მიმოხილვით. კერძოდ, შევეხეთ ვილფრედო პარეტოს შემოქმედებას და მარქსისტული თეორიის განვითარებას XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპაში, ძირითადად ეკონომიკურ დეტერმინიზმსა და ჰეგელიანურ მარქსიზმს.